



კონკურსი-2021

360  
თავისუფალი  
თემა



360°  
თავისუფალი  
თემატიკა



---

კრებულში წარმოდგენილია  
2021 წლის კონკურსის ფარგლებში გამოვლენილი  
22 საუკეთესო მონაწილის თხზულებები



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

2021 წლის ოქტომბერში, სკოლა „ლოგოსის“ დამფუძნებლისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის გია მურდულიას იდეითა და ინიციატივით, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი – სეუ-ს ეგიდითა და სპონსორობით, საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციისა და ასევე, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ჩართულობით ჩატარდა განსაკუთრებული ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებულ უფროსკლასელთა კონკურსი სახელწოდებით „ვწერ თავისუფალ თემას“.

კონკურსს თანადგომა გამოუცხადეს: საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, მასწავლებლის სახლმა. მისი გაშუქება ითავა საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა.

კონკურსი ჩატარდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი – სეუ-ს შესანიშნავ კამპუსში. ამავე უნივერსიტეტმა უზრუნველყო კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთა სერტიფიკატებითა და სპეციალური პრიზებით დაჯილდოება, ასევე, კონკურსის საუკეთესო თხზულებათა კრებულის გამოცემა. საკუთარი პრიზები დააწესა პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმაც. სერტიფიკატები და ჯილდოები გადაეცათ გამარჯვებულთა მასწავლებლებსაც.

კონკურსი ორ ტურად ჩატარდა. პირველში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სკოლების 800-ზე მეტმა მოსწავლემ. მეორეში გადავიდა 200-მდე მონაწილე და მათ მიეცათ 10 სათაური, რომლებიც ეხებოდა: მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიას, ხელოვნებას, ფილოსოფიას. მათ უნდა შეერჩიათ ერთი მათგანი და დაეწერათ თავისუფალი თემა. სპეციალურმა ჟიურიმ, წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით, შეაფასა მონაწილეთა ნაშრომები და გამოავლინა 10 გამარჯვებული.

### **კონკურსის მთავარი პირობა ასეთი იყო:**

ფინალურ ტურში, რომელიც 2021 წლის 24 ოქტომბერს ჩატარდა, მონაწილეებს შემდეგი სათაურები შევთავაზეთ:

1. საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პერსონები - ვინ და რატომ?
2. ბიბლია ხელოვნებაში
3. ფილმი, რომელსაც უფროსკლასელებს ვაჩვენებდი
4. მოთხრობის ხიბლი



5. აღმოსავლური პოეზია
6. ქრისტიანობის არსი
7. ჩემი ფილოსოფოსი
8. რა არის დემოკრატია?
9. თანამედროვე ლიტერატურა - ჩემი ხედვა
10. იგავების სამყარო

**კონკურსში მონაწილეთა თხზულებების შეფასების კრიტერიუმები  
ასე განისაზღვრა:**

- ზოგადი განათლების მაღალი დონე
- ორიგინალური და კომპლექსური აზროვნება (რაც გულისხმობს ფიქრის მოძრაობას მთელ „ჰუმანიტარულ ველზე“)
- წერის კარგი კულტურა; ფრაზის შეგრძნება
- ანალიზის, შეფასებისა და დასაბუთების გამორჩეული უნარი
- მრავალმხრივი ხედვისა და ინტერპრეტაციის უნარი

**ქიურის შემადგენლობა ასეთი იყო:**

1. გია მურღულია - თავმჯდომარე
2. ვახტანგ სალია
3. ლალი დათაშვილი
4. მაია ინასარიძე
5. ლევან ახვლედიანი
6. ირინა ჯორჯაძე
7. პაატა ნაცვლიშვილი
8. როსტომ ჩხეიძე
9. თინათინ ქავთარაძე
10. თათია გიგანი
11. ფატი ფირუაშვილი
12. ოთარ ჯირკვალიშვილი
13. რუსუდან აბრამიძე
14. ლევან გიგინეიშვილი
15. მიხეილ ჩიკვილაძე
16. თინათინ ბერძენიშვილი
17. გიორგი კეკელიძე
18. მაია ზალდასტანიშვილი
19. ნატო ინგოროყვა
20. ლელა ელისაშვილი
21. ქეთი რეხვიაშვილი
22. კახა ჯამბურია
23. თამაზ ჯოლოგუა



სეუ-ში კონკურსის დაჯილდოების ცერემონია 2021 წლის 6 ნოემბერს ჩატარდა.

კონკურსში **პირველი ადგილი** თბილისის 51-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ, **მარიამ ალავიძემ**, დაიკავა. მარიამს ლეპტოპი Lenovo V15 და სეუ-ში სწავლის სრული დაფინანსების ვაუჩერი, ხოლო მისი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ლელა სხირტლაძეს, 700 ლარი გადაეცა.

**მეორე ადგილზე** სამტრედიის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე **ლუკა კიკაჩიშვილი** გავიდა. მას 500 ლარი, ხოლო მისი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ეკატერინე შვანგირაძეს, 400 ლარი გადაეცა.

**მესამე ადგილი** ურბნისის საჯარო სკოლის მოსწავლემ, **მარიამ ინდუაშვილმა**, დაიკავა. მარიამსა და მის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ნანა ღვალაძეს, 200-200 ლარი გადაეცათ.

სპეციალური დიპლომებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდა კონკურსის სამი „გამორჩეული“ (IV-VI ადგილი) და ოთხი „წარჩინებული“ მონაწილე (VII-X ადგილი).

#### **მთლიანად გამარჯვებული ათეული ასე ჩამოყალიბდა:**

1. მარიამ ალავიძე
2. ლუკა კიკაჩიშვილი
3. მარიამ ინდუაშვილი
4. ნინი გელანტია
5. მარიამ ჯანუაშვილი
6. ანი დოჭვირი
7. ლიზი ბუხრაშვილი
8. მარიამ ღვინეფაძე
9. ნანა გოგბერაშვილი
10. ანა ჯღარკავა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელმძღვანელმა, მაია კობახიძემ, კონკურსის საუკეთესო ათეულის მასწავლებლები სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა — მათ ფულადი ჯილდოები, ხოლო გამარჯვებულ სამეულს პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტისა და მასწავლებლის სახლის წარმომადგენლები. კონკურსის ორგანიზატორებმა და პარტნიორებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ შეთანხმებას, რომლის მიხედვით კონკურსი „ვწერ თავისუფალ თემას“ სეუ-ში ყოველწლიურად ჩატარდება.



## მარიამ ალაიძე

გალაკტიონ ტაბიძის სახელობის  
ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლა

### ფილმი, რომელსაც უფროსკლასელებს ვარგვენები

შუადამით ტყეში ვინ დადის შავებში ჩაცმული, სანთლის იღუმალ შუქზე პოეზიის სადამოებს ვინ აწყობს? — ახალგაზრდა ბიჭების ჯგუფი, სახელად „მკვდარი პოეტების საზოგადოება“.

გყოლიათ მასწავლებელი, რომელიც სახელმძღვანელოდან იმ გვერდის ამოხვევას გთხოვთ, რომელზეც დარწმუნებით მოგიწოდებენ, როგორ უნდა იფიქრო?

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო... ამოხიეთ ფურცლები! მაღლა ადით! გაარღვიეთ ჩარჩოები! არავინ გითხრათ, თუ როგორი ფიქრი შეიძლება.

რა არის ფიქრის თავისუფლება? ვინ ვარ მე და რა მინდა?

„მკვდარი პოეტების საზოგადოება“ ფილმია, რომელმაც რეალურად მიმახვედრა, რომ „სწორად“ ფიქრი არასწორია და რომ მხოლოდ თავისუფალი ფიქრი უნდა არსებობდეს.

ფილმში ეხებიან ისეთ საკითხებს და მოვისმინე ისეთი დიალოგები, რომელთაც სკოლაში, საზოგადოებაში, უბრალოდ, ყოფით ცხოვრებაში, ხშირად ვისმენ და ვფიქრობ, მსგავს სიტუაციებში ბევრი ჩემი თანატოლი აღმოჩენილა.

არის გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩემი მისაღებია.

იბადება კითხვები — ჩემში.

ვფიქრობ — მე.

საჭირო არ არის ყველას ესმოდეს თქვენი და გეთანხმებოდეთ. თავისუფლების უამრავი აღქმა არსებობს. გრძნობები და ადამიანობა სკოლებში ნაკლებად ან საერთოდ არ ისწავლება. არის რაღაც, რაც ყველა ადამიანს აქცევს იმად, რაც არის.

თავისუფლება არჩევანია — გიყვარდეს, ფიქრობდე და გინდოდეს. ფილმიდან გონებაში აუცილებლად ჩაგრჩება ერთი ფრაზა და მოგიწდება ყველგან გააკრა, ყველას უთხრა: „იცხოვრე დღევანდელი დღით! დაიჭირე წამი და იპოვე განსხვავება უბრალოდ სუნთქვასა და ცხოვრებას შორის!“

ფილმში მასწავლებელი თავისი ყველა ქმედებით ბავშვებს ეკითხება: „ვისი ცხოვრებით ცხოვრობთ?“ „ვისი ფიქრით ფიქრობთ?“ „ეს ნამდვილად ისაა, რაც თქვენ გინდათ?“



ადრეც იყო და ახლაც რჩება მუდმივ პრობლემად მშობლებისა და შვილების ურთიერთგაგება. უფრო სწორად, მისი არარსებობა. შვილები მხოლოდ შვილის პოზიციიდან ხედავენ მოვლენებს. მშობლებს კი იმის მცდელობით და სურვილით, რომ მათი შვილები უკეთესები იყვნენ, ავიწყდებათ, რომ საჭირო არაა, ბავშვები ისეთები გახდნენ, როგორებიც დედ-მამას სურს და ის გზა აირჩიონ, რომელიც მათთვისაა მისაღები.

იყო კარგი შვილი — რთულია და იყო კარგი მშობელი — ორმაგად საპასუხისმგებლო. აკრძალვები და კონფლიქტები ფატალურად არ უნდა სრულდებოდეს. თუნდაც ამიტომაც საჭირო, რომ ფილმი მშობელმა და შვილმა (თუნდაც ორივემ ერთად) ნახონ.

ეს ცხოვრებისეული დეტალები ფილმში ისეა აღწერილი, ისე გულწრფელად და ცხადად, რომ შეიძლება ნებისმიერ სკოლის მოსწავლეს ამოუტივტივდეს თავში სცენა — დედასთან მორიგი კამათისას.

განათლების სისტემა... აი, აქამდეც მოვედით. რეალურად, ფილმის ყველა სცენაში, მასწავლებლების ნებისმიერ დიალოგში, დირექციის „ქადაგებებში“ თუ, უბრალოდ, სასადილოში მჯდომი ნებისმიერი სკოლის მოსწავლის სიტყვებში ამოიცნობთ ჩარჩოებში მოქცეულ სისტემას, რომელიც ბავშვებს ნელ-ნელა და „უმტკივნეულოდ“, დერა-დერა აცლის აზრებს და არჩევანის გაკეთების საშუალებას, ანუ — თავისუფლებას.

წარმოიდგინეთ, რადაცას თქვენი თავიდან გამოაქვს ის აზრები და იდეები, რომლებიც თქვენ გეკუთვნით. ის, რაც ყველას დამოუკიდებელ პიროვნებად გხდით. ამის ნაცვლად თავში გიდებთ და გახვევთ თავის შეხედულებებს და თქვენს ცხოვრებაში უხემად ერევა. ეს რაღაც სისტემაა, რომელიც ოთხი ბნელი კედლისაგან შედგება და რომელსაც კარი არ აქვს. ამ ოთხ კედელს შორის ხარ მოქცეული და სხვაგან წასვლის უფლება წართმეულია.

თუმცა, არის რაღაც, რაც ადამიანს თვალს უხვევს. ფილმის ყურებისას, მე და ჩემი მეგობრები ძალიან მოგვზიბლა იმ ადგილმა, სადაც მოქმედება ვითარდება, და ერთ-ერთმა თქვა კიდევ, რომ დიდი სიამოვნებით ისწავლიდა ამ სკოლაში. თუმცა, ფილმის დასასრულამდე ერთ რამეს მივხვდით — იმას, რომ იმ ოთხ კედელში ყველაფერია, რაც გჭირდება კარგად ცხოვრებისათვის.

შეიძლება, კარგი ტანსაცმელი, საჭმელი და კომფორტი ადამიანის ხედვის არეალს ნისლში ახვევს. ის, თავისდაუნებურად ვერ ხვდება, რომ სისასტიკეშია. ეს ყველაფერი ნორმა ჰგონია, რადგან მას ეს ასე უთხრეს. ის, რომ ისე აზროვნება არ შეგიძლია, როგორც შენ გინდა, ვერ იყო იქ, სადაც შენ გინდა, ვერ აკეთო და იცხოვრო ისე, როგორც გინდა, სისასტიკე და, უბრალოდ, უაზრობაა.





დავუშვათ, შენი (სხვისი ნაკარნახევი) ცხოვრება ნამდვილად კომფორტულად აეწყო და მაინც რაღაც მუდმივად გბოჭავს, თავს არასრულად გრძნობ. ამ შემხუთველ გრძნობას რომც დაემალო, დღის ბოლოს მაინც შეგახსენებს თავს. შეგახსენებს ისეთი მკაფიო, მტკივნეული გზით, რომ დაგქანცავს და ყველაფერს აზრს დააკარგვინებს. აი, აქ გავა ზღვარი — უბრალოდ არსებობასა და ცხოვრებას შორის.

არსებობა — როცა სუნთქავ.

ცხოვრობ მაშინ, როცა შენი თავის უფალი თვითონ ხარ. გიყვარს მაშინ, როცა გრძნობ. ტირი მაშინ, როცა გეტირება და იღიმი მაშინ, როცა შენ (თვითონ) ამას მიაღწივ.

„ყველას აქვს თავისი გზა ცხოვრებაში, მთავარია, შენს არჩეულ გზაზე თავს ბედნიერად გრძნობდე“. ბავშვობაში ეს მონოტონური, „დაყენებული“ ფრაზა მეგონა, იმიტომ, რომ, როცა ბავშვი ხარ, რასაკვირველია, სათამაშო ოთახზე ბედნიერი ადგილი არ გეგულება, მაგრამ, როცა პატარა გულთან ერთად გრძნობა და ცნობიერება იზრდება, ყველაფერს ღრმად უკვირდები და ამჩნევ.

„Carpe diem“ — დაიჭირე წამი, იცხოვრე — ასე თქვა კაპიტანმა. მასწავლებელმა მათ სკოლის სახელმძღვანელოდან ფურცლები ამოახვეინა, როცა ეს ფრაზა სულ პირველად მოისმინეს და კარგად ახსოვდათ, საკლასო ოთახში მაგიდებზე რომ დადგნენ მისტერ კიტინგის პატივისცემის ნიშნად.



## ლუკა კიკაჩიძევილი

ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლა

### ბიბლია ხელოვნებაში

არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ ხელოვნება ადამიანს საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობაში ეხმარება. მართალია, მისი ყველა დარგი არაჩვეულებრივად გამოხატავს ბიბლიურ პასაჟებს (ხსენების გარეშე გვერდს ვერ ავუვლი ისეთ ტიტანებს, როგორებიც, მაგალითად, მიქელანჯელომ და ვინჩი იყვნენ), მაგრამ ჩემთვის ყველაზე უფრო ახლობელი მხატვრული ლიტერატურა აღმოჩნდა. რატომ? პასუხი, ალბათ, ძალიან ძველია — სწორედ მან მაპოვნინა საკუთარ თავში ის ღვთაებრივი რწმენა, რომელსაც ერთ დღეს ყველა მიაგნებდა. სწორედ ამიტომ, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, გაგიზიაროთ იმ ნაწარმოებთა სახელები, რომლებიც ბიბლიას ეფუძნება და რომლებმაც გარდამტეხი გავლენა იქონიეს ჩემზე.

გადიოდა წლები და ჩემში ფესვებს იზრდიდა იმ სახის ქრისტიანობა, რომელსაც ჩვენი პატივსაცემი მეგობარი, ნიცშე, „აქლემობას“ უწოდებს. თუმცა, ერთ დღესაც მაღაზიაში გადავაწყდი ბერძენი მწერლის — ნიკოს კაზანდაკისის წიგნ „ქრისტეს უკანასკნელ ცდუნებას“. ის ფაქტი, რომ წიგნი აკრძალული სექციიდან იყო, ნამდვილად დამაინტრიგებელი გამოდგა. თუმცა, მე თუ მკითხავთ, არავის ისე არ ჰყვარებია ქრისტე, როგორც ამ „მწვალებელ“ მწერალს. მრავალნი იყვნენ რჩეულნი, მაგრამ მხოლოდ მან მოიხვეჭა ის ნიჭი, რომლის წყალობითაც ეს რომანი ახალი აღთქმის საუკეთესო გააზრებას წარმოადგენს.

მინდა, რამდენიმე დეტალზე გავამახვილო ყურადღება:

პირველი — ამ რომანში ეშმაკი არ არის ის ჩვეულებრივი მეფისტოფელი, რომელსაც ბევრგან ვხვდებით და რომელსაც ძალიან მარტივად ამარცხებს ღვთიური ძალა. ეს არის უძლიერესი, ყველაზე უფრო მაცდური და, ალბათ, ყველაზე უფრო ობიექტურად დანახული ბელზებელი, რომლის დაძლევაც ძალიან რთული აღმოჩნდა. ამის საილუსტრაციოდ კი მხოლოდ იმის გახსენებაც კმარა, რომ ეშმაკმა ქრისტეს პირველად და უკანასკნელად ისეთ სუსტ წერტილში „დაარტყა“, როგორიც იყო მარიამ მაგდალინელთან ერთად მოკვდავი კაცის ცხოვრებით ცხოვრება. თუმცა, რა თქმა უნდა, ქრისტემ ეს ბრძოლაც მოიგო. რასაკვირველია, აქ ისმის კითხვა — როგორ? პასუხი კიდევ უფრო პროვოკაციულია: ქრისტეს სწორედ ის ადეპტი დაეხმარა ცდუნების დაძლევაში, რომელიც



საქვეყნოდაა ცნობილი თავისი გამყიდველობით და, შესაბამისად, საზოგადოების ზიზღსაც იმსახურებს. ეს არის ყველასთვის ძალიან კარგად ნაცნობი იუდა ისკარიოტელი, რომელიც, კაზანდაკისის თქმით, კიცხავს ქრისტეს იმის გამო, რომ მან ღმერთკაცობას მარიამთან ყოფნა არჩია (რასაკვირველია, ეს ყოველივე ხდება არა „რეალურ“, არამედ ჩვენთვის მიუწვდომელ ადგილას, ქრისტეს გონებაში – იმ სივრცეში, სადაც მარადიულად მიმდინარეობს დაპირისპირება მასა და ეშმაკს შორის). სწორედ ამ დაძრახვის შემდეგ დაადწევს თავს ქრისტე ეშმაკის მიერ მოწყობილ მახეს.

ზოგადად, იუდა ჩემთვის ძალიან საინტერესო და ძლიერი პერსონაჟია. კაზანდაკისის თქმით, იუდა ქრისტეს მეგობარია, რომელსაც ღმერთმა ყველაზე რთული მისია – მასწავლებლის გაყიდვა დააკისრა. იუდამ უნდა გასცეს ქრისტე მისივე თხოვნით. აქ მინდა გავისხენო ისიც, რომ ბულგაკოვთან, პილატე პონტოელსა და ქრისტეს შორის გამართულ დიალოგში, ქრისტე იუდას მოიხსენიებს, როგორც კარგ ადამიანს. რა თქმა უნდა, რწმენა და რაიმე კონკრეტული საკითხის გააზრება ყოველთვის ინდივიდუალურია, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, ამ ანტაგონისტში ყველამ უნდა ვეძიოთ მონეტის მეორე მხარე.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ წიგნში ვხვდებით როგორც დოსტოევსკისეულ, ისე სოკრატესეულ ნააზრევსაც, რაც თხრობის პროცესს კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. მაგალითად, ვკითხულობთ: „მოწაფეები ეძიებდნენ ქრისტეს, ქრისტე ეძიებდა მოწაფეებს“ (სოკრატე ეძებდა მოწაფეებს და მოწაფეები ეძებდნენ სოკრატეს); ხოლო, ის მონაკვეთი, რომელშიც კაზანდაკისი ადამიანს აღიქვამს ღმერთსა და ეშმაკს შორის გამართულ ბრძოლის ველად, დოსტოევსკისეულია, რაც, ვგონებ, კვლავ ბიბლიას- მაგალითად, იობის იგავს უნდა უკავშირდებოდეს.

კონტრასტისთვის მინდა გავისხენო „მეამბოხე“ მწერალი – ჟოზე სა-რამაგუ, კაცი, რომელიც ავტორია შესანიშნავი წიგნებისა, რომლებმაც, ალბათ, კიდევ უფრო გაზარდეს ბიბლიის როლი ხელოვნებაში. გავისხენებ მწერლის უკანასკნელ რომან „კაენს“. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ საკითხებში მას არ ვეთანხმები, ობიექტურობა მმართველს – „კაენი“ დიდი გამბედაობითაა დაწერილი. რთულია, შექმნა რომანი, რომელიც „აუჯანყდება“ ღვთიურ სამართალს. ამ ჯანყის მაგალითი რომანში მრავლადაა. თუნდაც ამბიცია, შექმნა ამგვარი წიგნი და თან შეეცადო, კაენი პროტაგონისტად გარდაქმნა, უკვე არის ამის მაგალითი. გარდა ამისა, კაენს ბევრჯერ განარისხებს ღვთიური სამართალი და ამას ძალიან დემონსტრაციულად გადმოგვცემს სარამაგუ: კაენს არ ესმის, თუ რა დაამავეს სოდომსა და გომორში ახლად დაბადებულმა ბავშვებმა



ისეთი, რომ მიწასთან გასწორება დაიმსახურეს. სარამაგუ ღმერთზე ბრაზდება იობის გამოც. მისი აზრით, იობი ღმერთმა იარაღად და მარიონეტად აქცია ეშმაკის წინააღმდეგ. შესაძლოა, არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ ცოდვა უნდა გავამხილოთ — სარამაგუს პროვოკაციულმა და საინტერესო კალამმა ყველა გვაიძულა, ბოლომდე წაგვეკითხა წიგნი.

ბოლოს მინდა ერთი რამ ვთქვა: კაცობრიობას არ აქვს და არც ექნება იმაზე უფრო დიდი და ყოვლისმომცველი ძღვენი, ვიდრე ბიბლიაა. ეს ძალიან კარგად იცოდნენ ხელოვანებმა ყველა დროში და შედეგად მათ ასეულობით თუ არა, ათეულობით შედევრი დაგვიტოვეს. ახლა კი, ვფიქრობ, ჩვენი ვალია, მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლად განვსაჯოთ ეს შედევრები და, თუ ახალს ვერ შევქმნით, უფლება არ მივცეთ წარმავლობის ნისლს, შთანთქას ისინი!



## მარიამ ინდუაშვილი

ქარელის მუნიციპალიტეტის  
სოფელ ურბნისის საჯარო სკოლა

### ჩემი ფილოსოფოსი

კოსმიური ძიებების სამყაროში, გლობალიზაციის სამყაროში, გაჯეტების სამყაროსა და კიდევ მრავალი სხვა სიახლის სამყაროში ადამიანზე ფიქრმა, მის არსსა და დანიშნულებაზე მსჯელობამ თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა, მეტსაც გეტყვით, პირდაპირ უთქვამთ, რაში მჭირდება მიზანთროპი შოპენჰაუერის მოთქმა ამ ცხოვრების სიმწარესა თუ ამა სოფლის ამოებაზე, როცა კაცობრიობა, აგერ, მარსის კოლონიზაციისთვის ემზადება? თითქოს ჭეშმარიტებისგან არც ისე შორსაა აღნიშნული ფრაზა, რატომ უნდა ვიკითხოთ არისტოტელე და პლატონი, როცა ახლა იმის ცოდნა უფრო გვჭირდება, ეკონომიკურ კრიზისს როგორ გავუმკლავდეთ, ანაც ეკოლოგიურ მდგომარეობას რა ვუშველოთ?!

ერთ ფრიად შესანიშნავ ფილმში „მკვდარი ჰოეტების საზოგადოება“ მასწავლებელი სტუდენტებს უხსნის, რომ მედიცინა, იურისპრუდენცია, მეცნიერება ისაა, რითაც ადამიანთა მოდგმა ცხოვრობს, მაგრამ აქვე იბადება კითხვა — რისთვის ცხოვრობთ? კარგი, ტექნოლოგიური აღმავლობით შევამსუბუქეთ ცხოვრება, გადავჭერთ მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები... თუ გნებავთ, ოლდოს ჰაქსლის სამყაროს მსგავსად, ბავშვების ლაბორატორიული „წარმოება“ დავიწყეთ და ამით დემოგრაფიული მდგომარეობის გაკონტროლება მოვახერხეთ, და რა მოხდა? შემდეგ რისთვის ვიცხოვროთ? აქ ისევ ამ მასწავლებლის სიტყვები უნდა მოვიშველიოთ და ვთქვათ: „სილამაზე, პოეზია, სიყვარული“... აი, რისთვის ცხოვრობს ადამიანი და აი, რას მასწავლიან ჩემი ფილოსოფოსები.

პლატონის „ნადიმი“ სერიოზული გარდაქმნის დასაწყისი აღმოჩნდა ჩემთვის. სიყვარული უკვდავებისკენ სწრფვააო, ვკითხულობთ აქ. მაშასადამე, განვითარების რამდენად მაღალ საფეხურსაც უნდა მივადწიოთ, უკვდავი ვერ გავხდებით, სანამ იმ ფილოსოფოსს არ მოვუსმენთ, რომელმაც ამის ჭეშმარიტი ფორმულა იცის. აღნიშნულ ნაშრომში მე ყველაზე მეტად მაინც ის სიტყვები მენიშნა, პლატონი რომ არისტოფანეს მიაწერს. თურმე ძველად ორსქესიანი ადამიანებიც არსებობდნენ და ისინი ისე გაძლიერდნენ, რომ ღმერთებმა მათი დაშორება გადაწყვიტეს.



ერთი არსების შუაზე გაკვეთით მიღებული ნაწილები დღესაც დადიან და ერთურთს ეძებენ. ამ ნაწილებიდან ისიც შეიძლება, ორივე ქალი იყოს, ან კაცი. ისინი ესწრაფვიან კვლავ შეერთებას და ამით სიმშვიდის მოპოვებას. მამასადამე, საუკუნეების წინ შექმნილმა ფილოსოფიურმა ტექსტებმა და ფილოსოფოსებმა, რომლებმაც ანტიკური სამყაროს არაერთი მოღვაწის ნააზრევი გადმოგვცეს, ჩვენ ის გვასწავლეს, რაც, სამწუხაროდ, დღესაც ვერ გაითავისა უმრავლესამ და ამაში ყველასთვის კარგად ცნობილი და არც ისე დიდი ხნის წინ განვითარებული მოვლენაც გვარწმუნებს, რომელსაც გონება მკარნახობს, რომ აღარ უნდა ჩავუღრმავდე.

ამის შემდეგ საუკუნეები გავიდა და ისეთი დიდი ადამიანიც დაიბადა, როგორიც ალბერ კამიუ იყო. მის მიერ შემოთავაზებული ეგზისტენციური საკითხები დიდი სიახლე აღმოჩნდა მაშინ, როცა მისი „უცხო“ ძველი, ოდნავ გაცრეცილი და შეყვითლებული ფურცლები გადავშალე, რომლებზეც მერსო ვიპოვე — ოდნავ გულგრილი პიროვნება, ამ გულგრილობამ რომ სიკვდილამდე მიიყვანა. დღეს დედა გარდაეცვალა, ან შეიძლება გუშინ, რა მნიშვნელობა აქვსო, — ასე იწყებს მწერალი თხრობას. თავიდან ამ სიტყვებმა იმ იურისტებივით შემაძრწუნა, შემდგომში მერსოს განსხვავებულობა დანაშაულად რომ სცნეს. აქ სამართალი და მორალი გემოვნებით შეგვიზავა კამიუმ და არ დავშალავ, თავბრუც დამახვია, როცა თინეიჯერობის ასაკში შესულს ადამიანი ბევრად მარტივი ქმნილება მეგონა.

რა ვქნა, რომ „ჩემი ფილოსოფოსის“ განსაზღვრებაში ერთი ადამიანი ვერ ჩამიტევია?! ან როგორი ქართველი ვიქნები, ზემოხსენებული პერსონების შემდეგ ის თანამემამულე რომ არ დავსახელო, სამეცადინო მაგიდასთან ჯდომისას ჩემ გვერდით რომ ყოფილა და ჩემი გონების დახშული კარის კლიტეები თავისი ყოვლისშემძლე კალმით უმტვრევია?! ახლა იმ ქართველზე ვსაუბრობ, თავის დროზე მეორე ქართველმა რომ ენა დაუწუნა, ხოლო დანარჩენებმა ვერც კი გაუგეს, ისე, როგორც, მაგალითად, — მერანზე ამხედრებულ კოჭლ რაინდს, ნიკოლოზ ბარათაშვილს. დიახ, მთის არწივი, ვაჟა-ფშაველაა ჩემთვის ის დიდი ფილოსოფოსი, რომლის მიერ წარსულიდან გამოგზავნილ შეტყობინებებს, ვფიქრობ, ყველა ქართველმა და არა მარტო ქართველმა უნდა ათხოვოს ყური. მისი გენიალურობის დასამტკიცებლად ისეთი ქალი პერსონაჟის შექმნაც კმარა, რომელსაც ადაზა უწოდა და რომელიც სოფოკლეს ტრაგედიის მთავარ პერსონაჟს, ანტიგონეს, მაგონებს თავისი შეუპოვარი ხასიათით. თუმცა, ეს ყველაფერი არაა. ვაჟას, როგორც დიდი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის, შემოქმედების მწვერვალად მე კვლავ ჯიუტად მიმაჩნია „ალუდა ქეთელაური“. ჯერ კიდევ ქრისტემ მოგვიწოდა, გიყვარდეს



მტერი შენით. სასაცილოა, რომ ამდენი საუკუნე გავიდა და განკაცებული დმერთის დაღადი კვლავ ვერავინ გავიაზრეთ მთელი თავისი სიცხადითა და სიღრმით. ზუსტად ამ მცნებას გამოეხმაურა ვაჟა და ალუდა გვაჩუქა.

მსოფლიოში რომ კვლავ შეიკრიბონ ადამიანები, რომლებმაც ერთხელ უკვე გადაწყვიტეს ასი საუკეთესო ლიტერატურული ძეგლის გამოვლენა, ოღონდ ამჯერად საკითხი პერსონაჟებს ეხებოდეს, მე უპირობოდ დავუჭერდი მხარს ალუდას ამ სიაში შეყვანას- მან ისე დატოვა უმეცრების გამოქვაბული, როგორც ამას პლატონისეული კონცეფცია გვთავაზობს. ადამიანის დაბადება ადამიანში – აი, რა დაგვანახვა ვაჟამ, როცა შექმნა პერსონაჟი, რომელმაც გაბედა, ეაზროვნა და გაბედა, ყოფილიყო მარტო. ახლა კი ვერც წარმომიდგენია, ჩემი ფილოსოფოსი არ ვუწოდო ამ ფშაველ ბუმბერაზს.

ვინმეს თუ მიაჩნია, რომ მათემატიკური ფორმულების დაზეპირება ან ისტორიული ფაქტების ზედმიწევნით ცოდნა სრულყოფილი, ნამდვილი განათლებაა, მწარედ ცდება. მე არც გამორჩეულ მწერალთა თუ ფილოსოფოსთა გაცნობა მიმაჩნია მაინცდამაინც დიდ განათლებად. არა, იმას როდი ვამბობ, რაც ლუარსაბმა თქვა, წიგნების გარეშე კაცი არ მქვია, თუ ხორცი და ფერი მაკლიაო? პირიქით, უნდა ვიკითხოთ, მაგრამ კითხვისას აზროვნება და ჩვენი და ავტორის ხედვის გამიჯვნაც უნდა შევძლოთ. ასე თუ არ მოხდა, ადამიანის გონება დანტესეულ ჯოჯოხეთს დაემსგავსება, რომლის შესასვლელში წერია, ყველა აქ შემოსულმა იმედები გარეთ დატოვოსო. აი, ზუსტად ამიტომ გვჭირდება, კოსმიური ოღისეების ეპოქაშიც კი, საუკუნეებით წინ მოღვაწე მოაზროვნეთა გაცნობა, მათი იდეების შეფასება. ადამიანს ხომ აზროვნება აქცევს ადამიანად და ზუსტად ამაში გვეხმარებიან ჩემი, შენი და ჩვენი ფილოსოფოსები თავიანთი სიბრძნით.

და ბოლოს, „ფილოსოფიაც“ ხომ ზუსტადაც სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს.



## ნინი გელანტია

ალექსანდრე ღურჯაიას საბუნებისმეტყველო  
გიმნაზია-ჯიჯი (ზუგდიდი)

### ფილმი, რომელსაც უფროსკლასელებს ვაჩვენებდი

„გაიტანეთ გრენლანდია!“

„მე ტანკისტი ვიყავი, ომამდე!“

„ალაგ — ალაგ წამიკითხე, მნიშვნელოვანი მომენტები“.

„მე არ წამიკითხავს, მაგრამ მომწონს და მხარს ვუჭერ“.

„მე პატარა კაცი ვარ — რასაც ჩამძახებენ, იმას ამოვძახებ. მეტყვიან, ასეაო- ასეა, მეტყვიან, ისეაო-ისეა“.

— სამი წელიწადია სიცარიელეში ვარ, ბატონო ვაჟა.

— რაში ვარ, რაშიო?

— ს ი ც ა რ ი ე ლ ე შ ი !

— ძალიან კარგი!

ელდარ შენგელაიას აუცილებლად სანახავ ფილმში „ცისფერი მთები, ანუ ტიანშანი“ ზემოჩამოთვლილი ფრაზები საბჭოთა კავშირისეულ უტოპიურ დისტოპიას გამოხატავს. გაყინული დრო, ადამიანები, რომლებიც თავიანთ სამუშაოს არ ასრულებენ, უთანასწორო თანასწორობა, საბჭოთა კავშირი, იდეა, ორი სათაური, წაუკითხავად წაკითხული ნაწარმოები, ფსევდოსაქმიანობა — ეს ყველაფერი ქართული კინემატოგრაფიის თვალსაჩინო ნიმუშმა „ცისფერმა მთებმა“ გააერთიანა. სწორედ ეს არის ფილმი, რომელსაც უფროსკლასელებს ვუჩვენებდი.

რატომ მაინცდამაინც „ცისფერი მთები“? ახლავე მოგახსენებთ — ბევრი მიზეზია, რომელთა გამოც უნდა ნახო ეს ფილმი. ეს არის კლასიკა, ეს არის რეჟისურა, ეს არის სცენარი, ეს არის შინაარსი, ეს არის ქართული და მხოლოდ ქართული და რეალური წარსული, რომელიც აწმყოს საკეთებელს უკეთესად დაგვანახვებს.

ბზარებიან ოთახში, კედელზე, კიდეა ნახატი „გრენლანდია“, რომლის გამოც ომამდე ტანკისტი რედაქტორი გამუდმებით ეჩხუბება „პატარაკაცს“, რათა ჩამოხსნას. თავიდან სხვა ნახატის ჩამოკიდება იყო ჩაფიქრებული, თუმცა ის ცენზურას ემსხვერპლა. გრენლანდიის ნაცვლად კედელზე მურა დათვი უნდა ყოფილიყო, რომელიც რუსეთს განასახიერებდა. შემდეგ ის ჩვენთვის ნაცნობმა ნახატმა ჩაანაცვლა. არ უნდა გამოგვჩვენებდეს უმცირესი დეტალები, რადგან სწორედ მათშია გენიალურობა. სურათზე





გამოსახულია თეთრი დათვი. გამოიცანით, გამოხატავს თუ არა იმავე იდეას თავიდანვე ნაგულისხმევი სურათი? მართალი ბრძანდებით — ისევ რუსეთის სახე-სიმბოლოდ გვევლინება იგი. ახლა კი გაიხსენეთ, რის გამო ჩნებობს ტანკისტი რედაქტორი. დიან, ამ სურათის სასწრაფოდ გატანას ითხოვს — „გაიტანეთ-მეთქი გრენლანდია, გაიტანეთ!“ „პატარა კაცს“ ვერ გააქვს. უფროსებისგან ნებართვა სჭირდება. მას რასაც უუბნებიან, ყველაფრის არ სჯერა, თუმცა, რასაც ჩასძახებენ — იმას ამოსძახებს. ფილმის დასასრულამდე კედელზე დარჩენილი გრენლანდიისაგან მოდის ბზარი, რომელიც შენობას ანგრევს და სოსოს სიცარიელე ბრუნდება, ნანგრევებიდან გამოსული მიაბიჯებს ქუჩაში და ფილმი მთავრდება. სოსოს ნაწარმოების ყველა ასლი იკარგება. „წასაკითხად“ წაღებულები ქრება — მიაქვთ და არ მოაქვთ, არც კითხულობენ. არავინ კითხულობს, გარდა მღებავი „პატარა კაცისა“, თუმცა მითხარით, მას აზრს ვინ დაეკითხება?! ნანგრევებში რჩება ტექსტის ერთადერთი ასლი, რომელიც არ დაკარგულა, გივის ოთახშია საბოლოო იმედი, მაგრამ ეს იმედი სოსოში ჩამკვდარა და დავიწყებულა, სამწლიანი სიცარიელის შემობრუნების შიშით დათრგუნულა. „ცისფერი მთები ანუ ტიანშანი“ — ფილმი, რომლის გენიალურობასაც ერთი ნახვით ვერ შეიგრძნობ, უნდა ნახო ბევრჯერ, დააკვირდე დეტალებს, რეჟისორის მიერ ნაფიქრ ყოველ უმცირეს წვრილმანს, უნდა აღიქვა წინადადებების მიღმა ნათქვამი სიტყვები. მხოლოდ ფერებს, მიმდინარე კადრებს არ უნდა დააკვირდე.

სწორედ ასეთი ფილმი უნდა ნახოს უფროსკლასელმა და კადრებთან ერთად იაზროვნოს, შეიცნოს და იფიქროს — ჩაშალოს ყველა წვრილმანი, დაინახოს შინაარსი კადრს მიღმა, გაიაზროს და გაამთლიანოს ყოველივე ეს.

მსგავსი ფილმი არის საჭირო ახალგაზრდისთვის, რომელსაც არ უნახავს წარსული და არ იცის, რა ელოდება მომავალში.

დაბოლოს, ჩვენ, ყველანი, „სოსოები“ ვართ, სიცარიელეს დავაღწიეთ თავი, ვაღწევთ ან დავაღწევთ, ეს აუცილებელია, რადგან სიცარიელის გარეშე სულის სისავსეს ვერ ვიგრძნობთ, არ გვექნება განსხვავებულის აღქმის უნარი.



## მარიამ ჯანუაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის  
ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა

### ჩემი ფილოსოფოსი

ყველას სურს გაიგოს, თუ რა არის ცხოვრების საზრისი — ვინ არის, რატომ არსებობს, რისი მიღწევა შეუძლია, რა პრინციპებითა და ღირებულებებით უნდა იხელმძღვანელოს და რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს. სწორედ ამიტომ მიმართავენ ადამიანები ფილოსოფიას, რომელიც სამყაროს უზოგადეს კანონზომიერებებს იკვლევს, მისი შეცნობით კი ადამიანი საკუთარ თავს შეიმეცნებს. არსებობს მრავალი ფილოსოფიური სკოლა და მიმდინარეობა. ადამიანი სწორედ იმ ფილოსოფიას ირჩევს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება და ერგება მის შინაგან ბუნებას, სხვა ყველაფერზე უკეთესად დაეხმარება, მაქსიმალურად შეიცნოს საკუთარი თავი და ამის საფუძველზე ღირსეულად იცხოვროს, რადგან სწორედ ეს არის ფილოსოფიის აზრი, ვეზიაროთ სიბრძნეს და ვიცხოვროთ ამ სიბრძნის თანახმად. ეს აზრი შესანიშნავად გამოთქვა რუსთაველმა:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,  
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

ჩემი საყვარელი ფილოსოფოსია ჟან-პოლ სარტრი. იგი მეოცე საუკუნეში მოღვაწეობდა საფრანგეთში და ეგზისტენციალური ფილოსოფიის ერთ-ერთ მოწინავე წარმომადგენლად ითვლება. სარტრის ლიტერატურული დამსახურებისათვის 1964 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს, რომელზეც მან უარი განაცხადა. ვეცდები, გაგაცნოთ სარტრის ფილოსოფია. ყველა სხვა ფილოსოფიას შორის ჩემთვის ყველაზე ახლო, მისაწვდომი და განგიმარტოთ, თუ რა არის მისი ღირსება. ეგზისტენციალიზმის ამოსავალი წერტილია ადამიანი და მისი არსი, რა ქმნის ადამიანს და რა ანიჭებს ღირსებას, ამ ფილოსოფიის სულისკვეთებას იდეალურად გამოხატავს სარტრის შემდეგი სიტყვები: „არსებობა წინ უსწრებს არსს“. რას გულისხმობს ეს? არსებობა ესაა ცხოვრების პროცესი. არსი კი იგივეა, რაც ცხოვრების აზრი, მიზანი. სარტრი ამბობს, ჯერ არის ცხოვრება და შემდეგ — ცხოვრების აზრი, რომელსაც სწორედ ცხოვრების პრინციპი ქმნის. არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული არსი ადამიანისთვის (როგორც შეიძლება ჰქონდეს ადამიანის მიერ დამზადებულ რაიმე საგანს, რომელსაც ის ქმნის გარკვეული



დანიშნულებით), არ არსებობს არავითარი დეტერმინიზმი, ადამიანის ბედი თვითონ მის ხელთაა, იგი თვითონ ქმნის საკუთარ თავს თავისი ცხოვრებით და იგი თავადაა საკუთარი ცხოვრების აზრის შემოქმედი.

სარტრის ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანი თავისი საქმეებით განისაზღვრება. იგი ამბობს, რომ ადამიანი არაფერია, გარდა საკუთარ საქციელთა ერთობლიობისა, და იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც საკუთარ თავს განახორციელებს. ამის გამო საზოგადოების ნაწილი სარტრის ფილოსოფიას პესიმისტურად მიიჩნევდა, რადგან იგი უარყოფდა ადამიანის პოტენციურ შესაძლებლობებს, რომლებიც, გარემოებათა გამო, ხშირად გამოუვლენელი რჩება. თუმცა, ამ ადამიანებს მხედველობიდან რჩებოდათ ერთი რამ — ის, რომ ჩვენი პოტენციური შესაძლებლობები ჩვენზე არაა დამოკიდებული. ჩვენზე დამოკიდებულია მხოლოდ ის, თუ როგორ გამოვიყენებთ არსებულ მოცემულობას საკუთარ შესაძლებლობათა გამოსავლენად. ადამიანს არ განსაზღვრავს გარემოებები, არამედ ის, თუ როგორ მოერგება იგი მათ. გავიხსენებ მარინა ცვეტაქვას სიტყვებს: „ცხოვრებასთან დიალოგში მნიშვნელოვანია არა მისი შეკითხვა, არამედ ჩვენი პასუხი“. ჩვენ განვისაზღვრებით იმით, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ანუ იმით, თუ როგორ ვუპასუხებთ იმას, რაც ჩვენზე არაა დამოკიდებული. ამას სარტრი შემდეგნაირად ამბობს: „თავისუფლება არის ის, თუ რას გააკეთებ იმით, რაც შენთვის გააკეთეს“. იგი გვასწავლის, რომ გარემო პირობებით თავის მართლება სხვა არაფერია, თუ არა პასუხისმგებლობების თავიდან არიდება, შეფასების ერთადერთი კრიტერიუმია შედეგი — ის, რაც რეალურად განხორციელდა და მხოლოდ რეალობა ანგარიშგასაწევი, რელობა კი მოქმედებაშია, ეს არის მეტად ოპტიმისტური ნაწილი სარტრის ფილოსოფიისა, რომელიც მოუწოდებს ადამიანს, ცხოვრებაში მოცემული შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენოს. სარტრის ფილოსოფიაში საკმაოდ საინტერესოა თავისუფლების კონცეფცია, იგი თავისუფლებას — საკუთარი თავის ფლობას, საკუთარი თავის კანონმდებლობას, საკუთარი თავის ბატონობასა და მორჩილებას — აღიქვამდა, როგორც პასუხისმგებლობას მთელი სამყაროს წინაშე. მისი ცნობილი ფრაზაა: „ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება“. რატომ მისჯილი? იმიტომ, რომ ადამიანს საკუთარი თავი არ შეუქმნია, მას არ აურჩევია, რომ თავისუფალი ყოფილიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც თავისუფალია და მთელი ცხოვრების მანძილზე პასუხს აგებს თავის ყოველ გადაწყვეტილებაზე, თავის ყოველ მოქმედებასა თუ უმოქმედობაზე. რატომ არის ადამიანი თავისი თავისუფლებით პასუხისმგებელი მთელი სამყაროს წინაშე? ეს უფრო მორალური საკითხია. მორალური საქციელი



არის თავისუფალი არჩევანი, თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი თავისი ქმედებით ადამიანი იმის ღირებულებასა და მართებულობას ამტკიცებს, რასაც აკეთებს და სხვებსაც მოუწოდებს და უბიძგებს, მის მსგავსად მოიქცნენ, მისი პრინციპებით იხელმძღვანელონ. ვიღებთ მოცემულობას, რომელსაც სარტრი შემდეგნაირად აღწერს: „საკუთარი თავის რეალიზებით ადამიანი კაცობრიობის გარკვეულ ტიპს აყალიბებს“. იგი ამბობს, რომ ყოველი პროექტი თავის თავში ატარებს საყოველთაო მნიშვნელობას და საკუთარი თავის შექმნით ნებისმიერი კაცი ირჩევს იმას, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ზოგადად. მისი სიტყვებია: „ვირჩევ რა საკუთარ თავს, მე ვირჩევ ადამიანს ზოგადად.“ აქ მსურს, პარალელი გავავლო იმანუელ კანტიის მორალის ფილოსოფიასთან: „მოიქეცი ისე, თითქოს საკუთარი მოქმედების პრინციპის უნივერსალურ კანონად ქცევას აპირებ“. ნებისმიერი ქმედითი ნაბიჯის გადადგამდე ადამიანმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვა: „რა მოხდებოდა, ყველა ასე რომ იქცეოდეს?“ და იმოქმედოს ისე, როგორც ისურვებდა, რომ ყველა ადამიანს ემოქმედა იმავე სიტუაციაში. ყოველი ზემოთქმული ცხადყოფს იმას, რომ პასუხისმგებლობა თავისთავად გამომდინარეობს თავისუფლებისგან. საკუთარი თავის არჩევით, რაშიც თავისუფლება გვაქვს მინიჭებული, ჩვენ ვირჩევთ, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ზოგადად, რაზეც პასუხისმგებლობა გვეკისრება. თავისუფლება — ესაა მძიმე ტვირთი, რომლისგანაც არც ერთი ადამიანი არაა თავისუფალი, თუმცა ტვირთი სწორედ ისაა, რაც აძლევს აზრს ჩვენს ცხოვრებას .

ღირებულება იქმნება მხოლოდ თვითმყოფადობისგან, რადგან მყარი და მდგრადია მხოლოდ თვითმყოფადი, ის, რასაც თავისუფალი განვითარებით მიაღწია ადამიანმა. სწორედ ამიტომ, თავისუფლება არის ის, რაც ანგარიშგასაწევსა და ღირებულს ხდის ჩვენს ყოველ ქმედებას და გვაიძულებს და გვაავალდებულებს, ვიცხოვროთ ღირსეულად.

პირადი და სხვათა თავისუფლება გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. სარტრი ამბობს: „მე შემიძლია მიზნის ხარისხში მივიღო ჩემი თავისუფლება მხოლოდ მაშინ, თუკი ვისურვებ სხვა ადამიანების თავისუფლებასაც.“ მსგავს აზრს გამოხატავს ცნობილი გამოთქმაც: „არავინაა თავისუფალი, თუკი ყველა არაა თავისუფალი“. ადამიანისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობა სასიცოცხლოდ აუცილებელია. იგი ყოველთვის არსებობს სხვებთან მიმართებით და, ამასთანავე, სხვებთან ურთიერთობისას რეალიზდება, პიროვნულად იზრდება და შეიცნობს თავს, ამიტომ სხვისი უარყოფით ადამიანი საკუთარ თავს უარყოფს. სხვისი თავისუფლების შეზღუდვით ჩვენ შეურაცხვეყოფთ არა მარტო მის, არამედ საკუთარ და ყველა სხვა ადამიანის თავისუფლებასაც.



ყოველივე ეს კვლავ იმაზე მეტყველებს, რომ ქეშმარიტი თავისუფლება დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს და არ არსებობს საკუთარი თავის შეზღუდვისა და ვნებათა მოთოკვის გარეშე. გავიხსენებ ავთანდილის სიტყვებს, რომლებითაც იგი ტარიელის შეგონებას ცდილობს: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“. სარტრის ფილოსოფიას ბევრი უარყოფითად აფასებს ათეიზმის გამო, თუმცა რეალურად მისთვის მნიშვნელოვანი არ არის ღმერთის არსებობა-არარსებობის საკითხი, იგი ამბობს, რომ, ღმერთი კიდევაც რომ არსებულებოდა, ეს არაფერს შეცვლიდა, რადგან ადამიანს თავად მოუწევდა მისი ნიშნების განმარტებისათვის პასუხისმგებლობის აღება. ყოველთვის, როცა გარე ძალას მივმართავთ, მაინც ჩვენ ვართ პასუხისმგებლები. მაგალითად, როდესაც ადამიანი რჩევისთვის ვინმე სხვას მიმართავს, იგი კვლავ თავად ირჩევს, ვინაიდან იგი ირჩევს მრჩეველს, ე. ი. მან ქვეცნობიერად უკვე იცის, თუ რას ურჩევს ეს ადამიანი და მას სჭირდება ამის მოსმენა. სარტრი ამბობს: „მრჩეველის არჩევა — ეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაა“. ადამიანი ყოველთვის თავადაა იმ ღირებულებებისა და იმ ზნეობრივი მრწამსის შემოქმედი, რომელთა მიხედვითაც წარმართავს იგი თავის ცხოვრებას.

სარტრი ამბობს: „ადამიანი — ეს შიშია.“ იგი გულისხმობს შიშის იმ განცდას, რომელიც ადამიანს ეუფლება გადაწყვეტილების მიღების წინ, როცა მას უწევს, მრავალ შესაძლებლობას შორის არჩევანი ერთზე შეაჩეროს და სწორედ შიშია ის, რის გავლენითაც ადამიანი ცდილობს, ყველაზე მართებული, ყველაზე ღირებული არჩევანი გააკეთოს. თავად სარტრი ეგზისტენციალიზმს უწოდებს მოძღვრებას მოქმედებაზე. ეს, მართლაც, ასეა. ჩვენს მოქმედებაშია ჩვენი ცხოვრების აზრი და უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია, რათა იმ მოცემულობიდან, რომელიც ჩვენზე არაა დამოკიდებული, მაქსიმალური მივიღოთ. ჩვენ არ ვირჩევთ იმას, თუ საიდან მოვლივართ, მაგრამ შეგვიძლია ავირჩიოთ, თუ სად წავალთ და სწორედ ეს ქმნის ჩვენს პიროვნებას. ჩვენ არ ვირჩევთ, როდის დავიბადლოთ, სად დავიბადლოთ, ვინ იყვნენ ჩვენი მშობლები, რომელ სოციალურ ფენას მივკუთვნებოდეთ, რა წარმომავლობა გვქონდეს, როგორ გამოვიყურებოდეთ, რისი ნიჭი გვქონდეს და ა.შ. თუმცა ამით არც განვისაზღვრებით, ჩვენ განვისაზღვრებით იმით, თუ რას დავისახავთ მიზნად, რა ღირებულებებს ვუერთგულებთ, რა ზნეობრივი პრინციპები გვქენება, რისთვის ვიბრძობთ, რამდენად შეუპოვრად და ღირსეულად გავირჩევით, რამდენად სამართლიანები და პატიოსნები ვიქნებით — ეს ყველაფერი კი ჩვენზეა დამოკიდებული, სწორედ ამ ყველაფერშია ჩვენი ღირსება და ამ ყველაფრით განისაზღვრება ადამიანი და მისი ცხოვრების აზრი.



სარტრი ამბობს, რომ კაცის არსებობა უმიზეზოა, თუმცა მისი მიზანი ყოველთვის ადამიანია, ე.ი. მეტი თვითშემეცნებისა და თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია, რომ შევიცვალოთ და ვიყოთ უკეთესნი და რადგანაც შეგვიძლია, ვალდებულნიც ვართ, ასე მოვიქცეთ. ადამიანი თავადაა თავისი თავის შემოქმედი.



## **ფილმი, რომელსაც უფროსკლასელებს ვაჩვენებდი**

ოდესმე თუ გქონიათ განცდა, რომ თქვენ ირგვლივ არსებული სამყარო სწრაფად მიქრის, იმდენად სწრაფად, გაურკვევლობა ქარბორბალასავით გეხვევათ თავს, ირევით, იშლებით და ვერაფერს იგებთ... გონებაში ერთი მთავარი აზრი გიტრიალებთ, რომ თავი დააღწიოთ აქაურობას, სიცივესა და სიცარიელეს. მოვლენები იმდენად სწრაფია, გულის რევის შეგრძნებას, სისუსტესა და დაძაბულობას თქვენი სხეული ერთიანად გრძნობს, მუხლებშიც კი ძალა გეცლებათ და ჭუჭყიანი მიწის საზიზღარ გემოს მწვავედ შეიგრძნობთ. ცრემლები გღიბთ, ცრემლები გახრჩობთ მიწაზე დამხობილს. ისევ ვერ ხვდებით?! ახლაც კი, როცა თქვენ ირგვლივ ყველაფერი მიქრის, თქვენ კი, დაუძლეველი ტკივილის გარდა, ვერაფერს გრძნობთ, როგორ მინდა, ხელი გამოგიწოდოთ, აგაყენოთ, ჩაგენუტოთ და იმ სიტყვებით დაგამშვიდოთ, რომ ყველაფერი გაივლის, მაგრამ ორივემ ვიცით — თქვენ შეგიძლიათ ყველაზე სწრაფად მიმავალი სამყაროს გაჩერებაც კი!

ნელა დგებით ფეხზე, ჭუჭყიან მიწას შორლებით და ღრიალს იწყებთ, სამყარო კი ისევ მიქრის, არც თქვენს ღრიალს უგდებს ყურს, არც თქვენი დასისხლიანებული, ჩაფერფლილი თვალებისთვის ემეტება თავისი მზერა. უცებ მშვიდდებით, ნაბრძოლ სახეზე დილის პირველი მზის სხივით აგიკაფდებათ ნაზი ღიმილი... როგორ, იცინით? აჰ, ეგ თქვენი დაფერფლილი თვალებია, ახლა რომ ყვავის? ყველამ ვიცით, გონებაში რაც გიტრიალებთ! სულ ყველამ ვიცით, ახლა რამაც გინსნათ, რამაც გადგარჩინათ, რამაც მოგამორათ ჭუჭყიანი მიწის ზედაპირს! „carpe diem“ — დაჭერილი წამი, დაჭერილი ცხოვრება, დაჭერილი მოგონება, ბედნიერება, ტკივილი — შემდეგ ღრმად დამალული საკუთარ სულში. „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ — ფილმი, რომელსაც აუცილებლად ვაჩვენებდი უფროსკლასელებს, ვაჩვენებდი მასწავლებლებს, ვაჩვენებდი ყველას, ვინც ჯერ კიდევ ვერ უზიარა ლიტერატურისა და ხელოვნების რეალურ არსს.

რას ნიშნავდა ჩემი ესეც დასაწყისი? რატომ — „carpe diem“, რატომ



— დაჭერილი წამი? ფილმში დაჭერილ წამს ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა, ზოგჯერ სამყარო სწრაფად მიქრის, ჩვენ კი მისი ყოველი მომენტი უნდა დავიჭიროთ, უნდა შევინახოთ და მოვუაროთ.

ყველაფერი მაშინ იცვლება ფილმში, როცა ერთ-ერთ კლასში ლიტერატურის ახალი მასწავლებელი შედის — „კაპიტანი“, ადამიანი, რომელიც ლიტერატურას სწორედ ისე აღიქვამს, როგორც სამყაროს ყველაზე დიდ საოცრებას. იგი თავს არ ზოგავს, რომ ეს საოცრება ბავშვებს მთელი არსით შეაგრძნობინოს. რა არის ლიტერატურა? რა არის ხელოვნება? რას ბადებს ეს ყველაფერი ჩემში? ამ ფილმმა მრავალი რამ დამანახვა, თითქოს ჩემს ცნობიერებაში ყველაფერი თავდაყირა დადგა, რაღაც შეიცვალა. სხვანაირი გამიხდა აღქმაც, ხედვაც, განცდებიც. შემდეგ გავიაზრე — პოეზია ადამიანთა ემოციების უსაზღვრო ოკეანე რომ იყო, ყველაფერს რომ იტევდა: ტკივილსაც, ბედნიერებასაც, იმედგაცრუებასაც. ეს ოკეანე ჩვენში ბოხოქრობდა, ეს გრძნობები ჩვენში მკვიდრდებოდნენ და ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში ტკივილს გვიამებდნენ, გვაგრძნობინებდნენ, რომ მარტო არ ვიყავით.

„კაპიტანი“ ფილმში ყველა არსებულ ჩარჩოს ამსხვრევს, ამსხვრევს ვალდებულებებს, დამოკიდებულებებს და ბავშვებს ლიტერატურის სწავლის ახალ მეთოდს სთავაზობს — რომ მთავარი პოეტის განცდების შეგრძნება იყოს და არა- ლექსის დაზუთხვა, მოსწავლეები კი ხელოვნების არსს იმდენად სწვდებიან, წარსულს აცოცხლებენ და მკვდარი პოეტების საზოგადოებას ქმნიან.

„ლიტერატურა, პოეზია, ხელოვნება — ეს ისაა, რისთვისაც ცხოვრება ღირს!“ — ამბობს კაპიტანი.

წარმოიდგინეთ, ადამიანს გრძნობების გადმოცემა რომ არ შეეძლოს, სულში დაბუდებული მწვავე ტკივილი გასაქანს რომ ვერ პოულობდეს და ისევ ადამიანის არსებაში იწყებდეს წვას... რანი ვიქნებოდით, რომ არა ხელოვნება- ჩვენი არსებობის ყველაზე დიდი დასტური და გამართლება? რა გავგიქარვებდა მარტოობის ტკივილებს? რა დაგვამშვიდებდა, რომ არა ადამიანის გრძნობებით სავსე სუფთა ფურცლები? ბევრი მოსწავლისთვის ლიტერატურის სწავლა ვალდებულებაა — უსიამოვნო დავალება. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა ნახოს ეს ფილმი, რათა ყველა არსებული ჩარჩო დაიმსხვრეს. შემოდგომა და ფოთლებში არეული ადამიანთა უცნაური ამბები, დიდი გზები და ამ გზებზე მიმოფანტული, უკვე მოგონებადქცეული ისტორიები, ბევრი ღიმილი და ტირილისგან ამომშრალი თვალთა გუგები, არგამშვებული არც ერთი წამი, დამით წაკითხული და ნაგრძნობი ლექსები, ტკბილი სიჩუმე და ვერწარმოთქმული სიტყვების სევდა,





თვითმკვლელობა და გაცოცხლება — ასეთია „მკვდარი პოეტების საზოგადოება“, ასეთია და კიდევ მეტია...

რამ შემძრა ყველაზე მეტად ამ ფილმში, რამ ამატირა, დამფერფლა? წარმოიდგინეთ თქვენი ყველაზე დიდი ოცნება, წარმოიდგინეთ რაღაც, რაც სულს გიფორიაქებთ. ამ ოცნების გზაზე მარტო ხართ? რომ დაეცეთ, ვის გამოწვდილ ხელს იგულებთ ჩასაჭიდად? გზის ბოლოს ვინ გელოდებათ, წარმატების დროს ვისთან გაიქცევით ჩასახუტებლად? და, თუ არავინ გყავთ, თუ გზის შეცვლას გთხოვენ დაჟინებულად, მაშინ? მაშინ რას იზამდით?!

ამ ბიჭის ისტორია ფილმში ყველაზე ტრაგიკული და მტიკინვეულია, ისეთი, სულს რომ გიშფოთებს და საკუთარ პატარა სხეულში გამწყვდევს. „მკვდარი პოეტების საზოგადოების“ ერთ-ერთი წევრის მთავარი ოცნება თეატრი იყო, მაგრამ იგი, თავისუფლად შეიძლება ითქვას, შეეწირა მშობლების იდეალებსა და სურვილებს. ისინი ხომ შვილის ოცნებებს არაფრად მიიჩნევდნენ, მას ჩარჩოებში ამწყვდევდნენ და თავად კარნახობდნენ ცხოვრების გზას. ზოგჯერ შეიძლება მშობელმა ვერ გააზროს, თუ როგორ შეაქვს დიდი „წვლილი“ საკუთარი შვილის განადგურებაში, ვერ გაიგოს, რომ მზრუნველობა ძალადობად იქცა და ამით დაასამარა ახალგაზრდის იმედი, ოცნება, მიზანი.... და მერე გიწევს მთელი ცხოვრება მათი დამწვარი ნაფლეთების ფრთებმოქრილი ზურგით ტარება... და მერე, ყოველდამე, დაძინებისას, ვერც იმ გარდამავალ წამს იპოვი, „საკუთარი თავი ყველამ რომ ვიცით“ და იძულებული ხარ აიტანო ის, შენ რომ ყველაზე ნაკლებად გგავს... ასეთ ტკივილს ბევრი ვერ უძლებს... მანაც ვერ აიტანა... თავი მოიკლა — ყველაფერი დაასრულა. გავბრაზდი? საშინლად! გავიგე? ყველაზე მეტად. შეიძლება, ახლა ბევრი ვიკამათოთ იმაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო; რომ ეს სუსტი ადამიანის ქმედებას ჰგავდა; რომ უნდა ებრძოლა; არ დანებებულიყო... ჰო.. კი.. შეგვიძლია, მაგრამ რაღა აზრი აქვს? ახლა ბევრიც რომ ვწერო, რას შეცვლის? დასრულდა. საკუთარი ტკივილი და ოცნებები სხვას დაუტოვა, თვითონ კი გაექცა ამ გრძნობებს, ზოგს არ შეუძლია.. ფრთებს რომ მოგაჭრიან, მაშინვე კვდება, იმავე წამს გიკვდება საკუთარი თავი. ხელის ჩამჭიდებლად საკუთარი შავი ჩრდილი რომ გრჩება მხოლოდ, იქვე პატარავლები. ჩრდილებს რომ ფერები ჰქონდეს, ზუსტად ვიცი, რომ მისი ყველაზე ლურჯი იქნებოდა.

შემდეგ ფილმში მოვლენები ირევა და საბოლოოდ სკოლა ამ ბიჭის თვითმკვლელობასა და არასწორი სწავლების მეთოდს კაპიტანს აბრალებს, ყველა მიდის იმ დასკვნამდე, რომ იგი სკოლიდან უნდა გაუშვან. მასწავლებლობას უკრძალავენ ერთადერთ ადამიანს, რომელ-



მაც ბავშვებში სწავლის ვალდებულება კი არა, ლიტერატურის სიყვარული გააღვივა, ბავშვებს ცხოვრების სიტყბო ყველაზე მძაფრად აგრძნობინა, დაარწმუნა, რომ ეს ცხოვრება ერთადერთი იყო და მისი ყოველი წამი უნდა დაეჭირათ! ნელ-ნელა ვუახლოვდებით ფილმის ყველაზე გენიალურ ნაწილს — კაპიტანი უკანასკნელად შედის საკლასო ოთახში, მოსწავლეები მას სინანულითა და სირცხვილით უყურებენ. ის დამოკიდებულება, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ყალიბდება, გულწრფელი და რეალურია! ამ სივრცეშივეა შერწყმული მადლიერება, ლიტერატურის მიმართ გაღვივებული სიყვარული, წინასწარი მონატრება, ტკივილი, სინანული — ყველაფერი, გეფიცებით, ის მზერა... კაპიტანს მიჰპრობილი ის მზერა სამყაროს, ყველა გრძნობას იტევს, ყველაფერს ამბობს.

შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთის მიყოლებით გაკვეთილს შლიან, მერხებზე აღიან და ხმამაღლა წარმოთქვამენ მაგიურ სიტყვებს: „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“ ეს სიტყვები მეორდება, ყოველი მოსწავლე ცალ-ცალკე ამბობს; „ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო!“

საუკეთესო დამშვიდობება — საუკეთესო ფილმის საუკეთესო დასასრული! დამეფიცება, ამ ფილმის შემდეგ ასეთი ცხარე ცრემლებით აღარაფერზე ავტირებულვარ.

მანსოვს, ფილმის ყურება როცა დავასრულე, ვიგრძენი ყოველი ვერდაჭერილი წამი, ყოველი გაშვებული მომენტი, ყოველი ის მოგონება, რომლებიც ვერ შევქმენი, ჩემი ოცნება გამახსენდა და პატარა ბავშვივით ხელი ჩავჭიდე, შემეშინდა, ჩემთვისაც არ მოეჭრათ ფრთები. ნეტავ მე თუ გავუძლებდი, ნეტავ მე თუ ავიტანდი?

ვაჩვენებდი ყველა უფროსკლასელს ამ ფილმს, რათა ეგრძნოთ, თუ რამდენს ნიშნავს ლიტერატურა, ოცნებები, დაჭერილი წამები, რომ მონდომებოდათ ყველაფრის შეცვლა, სამყაროს გადატრიალება, ჩარჩობის ნგრევა, რადგან ცხოვრება მირბის, ჩვენ კი ამ ქარბორბალაში უამრავი წამი უნდა დავიჭიროთ, უნდა ვიგრძნოთ, უნდა გვტკიოდეს, უნდა გვიხაროდეს, ყველა ემოცია უნდა დავიტიოთ, ყველაფერი უნდა ვიგრძნოთ, რადგან ამისთვის ღირს ამქვეყნად დაბადება! ეს არის ყველაფერი!



## ლიზი ბუნრაშვილი

საერთაშორისო აკადემია ლოგოსი (თბილისი)

### მოთხრობის ხიბლი

გამარჯობა, მინდა თქვენს გაზეთში დასაბეჭდად ჩემი ნამუშევარი შემოგთავაზოთ! — ეუბნება ახალგაზრდა მწერალი ნოე გაზეთ „რეალობის“ წარმომადგენელ ბატონ გრიგოლს.

— რას შეეხება თქვენი სტატია?

— სტატიას ვერ დავარქმევდი, ეს არის პატარა მოთხრობა, რომელიც შეეხება...

— უკაცრავად, მაგრამ, როგორც იცით, ჩვენ ვბეჭდავთ მხოლოდ რეალურ ამბებსა და ფაქტებს, რაც მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, განსხვავებით თქვენი ფანტაზიის ნაყოფი ისტორიებისაგან.

— უკაცრავად, ბატონო გრიგოლ, დედათქვენს თქვენთან საუბარი სურს. — ოთახში შემოვიდა ერთ-ერთი თანამშრომელი მარგო.

— ახლა არ მცალია, უთხარი, სხვა დროს დარეკოს, — მარგომ თავი დაუკრა და გავიდა — რაც შეეხებათ თქვენ, გთხოვთ, დროს ნუღარ დამაკარგვინებთ — მიუბრუნდა ნოეს.

— მაგრამ თქვენ ხომ არც წაგიკითხავთ ჩემი მოთხრობა...

— არც მჭირდება!

— თვალი გადაავლეთ მაინც, მხატვრული ლიტერატურა სულაც არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, პირიქით, ისეთ გავლენას ახდენს ადამიანებზე, თქვენი სტატიები საერთოდაც რომ ვერ შეძლებენ!

— ბატონო გრიგოლ, დედათქვენი ამბობს, რომ სასწრაფოდ უნდა თქვენთან საუბარი... — ისევ შემოვიდა ოთახში მარგო.

— უთხარი, რომ ახლა ძალიან დაკავებული ვარ და მოგვიანებით დავურეკავ! — გაბრაზება დაეტყო გრიგოლს.

— დიახ... — მარგო გავიდა.

— ერთი მითხარი, ნოე, მამისთვის დაბადების დღის მილოცვა არასოდეს დაგვიწყებია? როდის მერე გახდა ეს ასეთი ტრაგედია?! — ამოიხრა მან. ნოე კი დაბნეული თვალებით შესცქეროდა — სულაც არ არის ჩემი ბრალი, თუ რაღაც-რაღაცები მავიწყდება, ან ვერ ვახერხებ ოჯახისთვის სათანადო ყურადღების მიქცევას, ბოლოს და ბოლოს, ამხელა გაზეთს ვუძღვები... — ჩაფიქრდა გრიგოლი.

— სულ ცოტა დროს თუ დაუთმობდით ჩემს მოთხრობას, იქნებ რაიმე...

— კარგი, კარგი, შენსას არ იშლი, დაიწყე კითხვა.



ნოეს თვალები აუციმციმდა, ფურცლები ამოიღო და დაიწყო:

— ერთ სოფელში ცხოვრობდა ახალგაზრდა ბიჭი, სახელად მათე, რომელმაც ერთ დღეს საშინელი ამბავი გაიგო, ავარიის შედეგად მთელი მისი ოჯახი დაღუპულა. რასაკვირველია, ამ ამბავმა მასზე წარუშლელი კვალი დატოვა და მთელი მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. ამ კატასტროფიდან ერთი თვის შემდეგ, როდესაც მათე თავის ფიქრებში გართული ტყის პირას სეირნობდა, ერთი მოხუცი ქალი შეხვდა, რომელმაც შეამჩნია, რომ ის ძალიან დასევდიანებული იყო და ჰკითხა, რა სჭირდა. ბიჭმა უამბო ავარიის შესახებ და შემდეგ თავისი გულისტკივილიც გაუზიარა. მისი თქმით, რომ სცოდნოდა, ასეთი რამ ელოდა, წარსულში უამრავ რამეს შეცვლიდა. ამბობდა, რომ თავის დას შორეული ქალაქების სანახავად წაიყვანდა, როგორც დაჰპირდა; მშობლების მიმართ მეტ მზრუნველობასა და პატივისცემას გამოიჩინდა; სრულიად შეცვლიდა დამოკიდებულებას, რომ სცოდნოდა, ასეთი მცირე დრო ჰქონდა დარჩენილი. მოხუცმა ქალმა ყურადღებით მოუსმინა ბიჭს და უთხრა, რომ ადამიანები ხშირად ვერ აცნობიერებენ, თუ რაოდენ ხანმოკლეა ეს ცხოვრება და სწვებთან ურთიერთობისას ბევრ შეცდომას უშვებენ, თუმცა ეს ზოგადსაკაცობრიო საკითხია და არა — კონკრეტული ადამიანების პრობლემა, ამიტომ ურჩია, რომ ადარ ეფიქრა იმაზე, თუ რას გააკეთებდა წარსულში უკეთესად, ყურადღება გაემახვილებინა იმ სასიამოვნო მომენტებსა და ბედნიერ დღეებზე, რომლებიც ოჯახთან ერთად ჰქონდა გატარებული.

ბატონი გრიგოლი ყურადღებით უსმენდა და, როდესაც დაამთავრა, ჩაფიქრდა. ამ მოთხრობაში თავისი ცხოვრების ელემენტები დაინახა. რაღაც დროის განმავლობაში ჩუმად იყო, უყურებდა ახალბედა მწერალს, ბოლოს კი უთხრა:

— პირველ რიგში, რამდენიმე ადამიანთან უნდა დავრეკო, შემდეგ კი ვიზრუნებ, რომ თქვენი ნამუშევარი გაზეთის შემდეგ ნომერში მოხვდეს.



## მარიამ ღვინეფაძე

სკოლა-პანსიონი აიბი მთიები (თბილისი)

### თანამედროვე ლიტერატურა - ჩემი ხედვა

- რას კითხულობ?
- „შაშვი შაშვი მაყვალი“.
- მოგწონს?

– კი, საინტერესოა, თან მარტივად იკითხება, არ არის რთული ენით დაწერილი. ამიტომ მიყვარს თანამედროვე ლიტერატურა. სათქმელს პირდაპირ ამბობს ავტორი, გადაპრანჭულად არ წერს და მკითხველისთვისაც ყველაფერი გასაგებია.

– ჰო, მაგრამ ასე გადაჭრითაც ვერ იტყვი, რომ ყველა თანამედროვე ნაწარმოებში პირდაპირ არის ყველაფერი დაწერილი. ავტორები ძალიან ხშირად მხატვრული ხერხებით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს.

– რა თქმა უნდა, მხატვრული ხერხების გარეშე მხატვრული ლიტერატურა არ არსებობს, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ თანამედროვე ნაწარმოებები ბევრად უფრო მარტივი წასაკითხია, ვიდრე — ძველი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. არაფერია იმაზე სასიამოვნო, ერთადგილას მოკალათდე, წიგნი გადაშალო და წაიკითხო. ხანდახან ახალ ნაწარმოებებს რომ ვკითხულობ, მგონია, რომ ავტორი ჩემზე წერს. პერსონაჟებთან წარმოუდგენელ სიახლოვეს ვგრძნობ, თითქოს მთელი ცხოვრებაა მათ ვიცნობ. მესმის მათი სატკივარი და სადარდებელი, მათთან ერთად ვიცინი და მათთან ერთად ვტირი. თანამედროვე ლიტერატურის კითხვისას ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მეც ვარ იმ ამბის ნაწილი, რომელსაც ვკითხულობ. ყველაფერი ის, რაც დღევანდელ ნაწარმოებებშია ასახული, რეალობის ფრაგმენტია. მე შეიძლება წავიკითხო წიგნი მეორე მსოფლიო ომზე და შემადრწუნოს მაშინდელმა ამბებმა, მაგრამ შეუძლებელია, ჩემი განცდა შეადარო იმ ადამიანის ემოციას, რომელმაც ეს მძიმე პერიოდი გამოიარა. ზუსტად იგივე შეგვიძლია ვთქვათ თანამედროვე ნაწარმოებზე. ჩემთვის ქენდის ნელსონის „მე გაჩუქებ მზეს“ ყველაფერია, რადგან მთავარი პერსონაჟები ზუსტად ჩემხელები არიან და მათაც ის პრობლემები აწუხებთ, რომლებიც — მე. ისინიც ისე განიცდიან, როგორც — მე. ეს წიგნი ვინმე უფროსს რომ წავაკითხო, ვიცი, დიდად არ მოიხიბლება, რადგან მისი თინეიჯერული წლები რადიკალურად განსხვავდება თანამედროვე ბავშვების მოზარდობის წლებისგან. ჩემი აზრით, თანამედროვე ლიტერატურის სიმარტივე ზუსტად იმით გამოიხატება,



რომ ის ზოგადსაკაცობრიო თემები, მნიშვნელოვანი საკითხები და შეუცნობელი ფენომენები, რომლებსაც ძველ ნაწარმოებებშიც ხშირად ვხვდებით, ლაკონურადაა გადმოცემული. დღეს, როცა მთელი მსოფლიო ყველაფრის გამარტივებას ცდილობს, ადვილად გასაგებ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე უკეთეს ვერაფერს შეხვდები.

– რაღაც მხრივ, მართალი ხარ, – ამბობს ის ფიქრის შემდეგ.

– ძველი ლიტერატურის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, ძალიან ბევრი რომანი თუ მოთხრობა წამიკითხავს და მომწონს. ვფიქრობ, ძველი ავტორები და მათი შემოქმედება რომ არა, თანამედროვე ლიტერატურა არ იარსებებდა ისეთი სახით, როგორც ახლა გვაქვს. უბრალოდ... არ მსიამოვნებს, როცა ხალხს (განსაკუთრებით ძველ თაობას) ავიწყდება, რომ ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს განსაკუთრებული მკითხველი სჭირდება. მე რომ აივანზე გავიდე, შემოდგომის მზეს მივეფიცხო და „დიდოსტატის მარჯვენა“ გადავშალო, მანერული ენითა და სითბოთი გაბრუებულს ჩამეძინება. კონსტანტინე გამსახურდიას ძალიან დიდ პატივს ვცემ, ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ქართველი მწერალი იყო და მისი ცოდნა მისივე ნაწარმოებებშია ასახული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ავტორის ნაწარმოებები ყველა მკითხველისათვის საინტერესოა, ან რომ მე ვარ ცუდი მკითხველი და ლიტერატურის არაფერი გამეგება, რადგან ასეთი დიდი მწერლის ნაწარმოებით ვერ ვისიამოვნე. იგივე შეიძლება ითქვას ბებიაჩემზე, რომელსაც დღემდე ვერ გაუგია „ჰარი პოტერის“ არსი.

– ისიც უნდა გაითვალისწინო, დღევანდელი ნაწარმოებები ბევრად უფრო მოკლე რომ არის. თანამედროვე ცხოვრების ტემპს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანების ცხოვრებაში და ყველა სფეროშია ასახული, მათ შორის — ლიტერატურაშიც. თუ წინა ავტორები წლობით წერდნენ წიგნებს და დიდ დროს უთმობდნენ ნამუშევრების სრულყოფას, დღესამდენად დიდი დრო აღარ სჭირდებათ ნაწარმოების დასაწერად. თან ძველ ავტორთა ნაწარმოებები ტომეულებად გამოიყვამოდა, წიგნებშიც სიუჟეტი ნელა ვითარდებოდა — დღევანდელი გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, ლიტერატურა, ძველთან შედარებით, ბევრად უფრო სწრაფია, უფრო მოქნილი. ძალიან ბევრი ავტორი ლავირებს სიუჟეტიდან სიუჟეტზე, თანაც ამ ყველაფერს ისინი ისე ახერხებენ, რომ მკითხველს კითხვის სურვილი არ დაუკარგონ. ძალიან ხშირად ისეთი სცენებიც წამიკითხავს, რომლებშიც საოცარი კონტრასტია დახატული. ასეთი ეპიზოდები განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ ჩემზე. თანამედროვე ლიტერატურის ხიბლი ზუსტად ის არის, რომ აბსოლუტურად მოულოდნელი ნიუანსებითაა სავსე. ნაწარმოების კითხვისას შეიძლება ბევ-



რჯერ შეხვდე მონაკვეთს, რომელიც იმ წუთში იქნებ არაადეკვატური მოგეჩვენოს, მაგრამ სულ ბოლოს, როცა წიგნს დაასრულებ, ყოველი დეტალი ერთმანეთს ფაზლის ნაწილებივით უკავშირდება და საოცარი სანახაობა იქმნება შენს გონებაში — ყველაფერს ნათელი ეფინება. ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თანამედროვე ლიტერატურაში და ხშირად ძალიან ბევრი ვერ ამჩნევს ამ მიკროსკოპულ ღირსშესანიშნაობას. - მას საკუთარ სიტყვებზევე ეცინება.

— გეტანხმები, — ამბობს მეორე და მას უღიმის. ის წიგნს ხურავს, ყდას გულდასმით ათვალიერებს — იცი, კიდევ რა მომწონს თანამედროვე ლიტერატურაში? ის უსაზღვროა. დღეს წიგნის მაღაზიაში წასვლა განსხვავებული სამყაროებისაკენ მიმავალ პორტალში შესვლას ჰგავს. არაფრით ხარ შეზღუდული. ავტორებს თავისუფლად შეუძლიათ წერონ, რაზეც უნდათ, რამდენიც უნდათ, სადაც უნდათ. ერთადერთი საზღვარი თავად მწერლების ფანტაზიაა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველანაირ თემაზე შეიძლება დღეს ნაწარმოები დაიწეროს. იმ საკითხებზეც კი, რომლებიც წინა საუკუნეებში ტაბუდადებული იყო. აი, მაგალითად, აქ, ამ წიგნში „შაში შაში მაყვალი“, პირველი თავი იწყება იმით, რომ მთავარ პერსონაჟს ქალური პრობლემა აქვს და მუშაობა ეზარება, „თვიურიანი ქალის გაკეთებული საქმე ხომ მაინც ნაცრიანიაო“. დღევანდლამდე ქალის მენსტრუალურ ციკლზე რომ დაგეწერა, რედაქტორი არც გამოგაქვეყნებინებდა ამ წიგნს, რატომღაც უტაქტო ნაბიჯად ითვლებოდა ამ თემის საზოგადოდ განხილვა, არადა ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა და არანაირად არ არის სირცხვილი ამ თემაზე საუბარი. ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ იმის თქმას ვცდილობ, რომ თანამედროვე ლიტერატურასთან ერთად იცვლება საზოგადოებაც. ამიტომ მნიშვნელოვანია განსხვავებული თემების განხილვა. მომწონს, რომ დღევანდელი ლიტერატურა მრავალფეროვანია, რომ ავტორი თავისუფლად გამოხატავს თავის სათქმელს ნაწერში და რომ მკითხველებს საკუთარი თავის აღმოჩენა შეუძლიათ. დროსთან ერთად ვითარდება ყველაფერი, მათ შორის — ლიტერატურაც და მე ბედნიერი ვარ, რომ თანამედროვე ტექსტები ასეთი სახით გვაქვს: გამარტივებული, დახვეწილი, უფრო თავისუფალი და უსაზღვრო. ვფიქრობ, ის მკითხველს ეხმარება თვალსაწიერის გაფართოებასა და ახალი რადაცების აღმოჩენაში. თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი აზრია. ყოველ ადამიანს განსხვავებული, თავისებური შეხედულება აქვს თანამედროვე ლიტერატურაზე.



## **ბანა გოგბერაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლა*

### **მოთხრობის ხიბლი**

პიროვნების ფუნქცია თითოეულ ჩვენგანს სხვადასხვაგვარად ესმის. ჩემთვის ადამიანი უცხო ზღვაში ურუკოდ და უკომპასოდ მოხვედრილი მეზღვაურია და მას თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვს. სასწორის ერთ პინაზე უდარდელი, უდრტივინველი, მდორე, მშვიდი და უინტერესო ცხოვრებაა, ხოლო მის საპირწონედ მრავალფეროვანი, ცვალებადი, საშიში ლაბირინთებით დატვირთული, საოცრად საინტერესო პროცესია. ჩვენი ფარგლით შემოსაზღვრულ სამყაროში დავხეტებთ და ჯერ კიდევ გაჩენამდე დაკარგულ რუკასა და კომპასს დავეძებთ.

ვფიქრობ, მოგზაურობისთვის, საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობისთვის ლიტერატურა დაუძლეველი იარაღია. მოთხრობის მთავარი დანიშნულება მკითხველის მრავალგვარი გამოცდილებით „შემოსვლა“. მოთხრობის კითხვისას შეგვიძლია, სხვადასხვა პერსონაჟის კანში „ჩავძვრეთ“, გავიარ-გამოვიაროთ, მათი თვალებიდან გამოვიჭყიტოთ და თვალსაწიერი გავიფართოვოთ. შესაძლებლობა გვაქვს, თოლია ჯონათანთან ერთად ვიფრინოთ (რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“), ვიბრძოლოთ ალჰური ბანაკის დავალების შესასრულებლად (გურამ რჩელიშვილის „ასვლა“), ხოჭოს თვალებიდან დავინახოთ საკუთარი ყოფა (ფრანც კაფკას „მეტამორფოზა“), სუბიექტურ რეალობაში მკვლელობის საქმე გამოვიძიოთ და ობიექტურობა ვეძიოთ (რიუნოსკე აკუტაგავას „უსიერ ტყეში“). ჩემთვის მოთხრობების კითხვა ერთგვარი შესვენებაა ახალი მოგზაურობის დაწყებამდე. კითხვისას ვისვენებთ, ძალებს ვიკრებთ, სიახლეს ვეცნობით, ვუახლოვდებით მიზანს. ნაწარმოებები ცვლიან ჩვენს მსოფლხედვას, მათ ჩვენი შემინება, შეძრწუნება, დასვედიანება და გამხიარულება შეუძლიათ.

რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობამ „უსიერ ტყეში“ დამაფიქრა: არის ჩვენი სამყარო ობიექტური, თუ თითოეულ ინდივიდს საკუთარი ობიექტურობა ახასიათებს? ფილოსოფოსებისთვის ყველაზე დიდი და ამოუცნობი შეკითხვაა: ოთახში არის ერთი მაგიდა და ორი ადამიანი, რამდენი მაგიდაა ოთახში? თითქოს, შეკითხვა თავად გვკარნახობს — ოთახში ერთი მაგიდაა. ცხადია, ორივე ადამიანისთვის ოთახში ერთი მაგიდა დგას, მეორე არსაით ჩანს. თუმცა, თუ მათ მაგიდის აღწერას





ვთხოვთ, მის ორ განსხვავებულ მახასიათებელს მოვისმენთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვერც გავარკვიოთ, რამდენი მაგიდაა ოთახში. ისევე, როგორც შეუცნობელია, ვინ ჩაიდინა მკვლელობა „უსიერ ტყეში“.

მოთხრობები გვეხმარებიან ვიცოცხლოთ, ანუ ვიფიქროთ. მათი მიზანია, მკითხველი ისწრაფვოდეს თავისუფლებისკენ, ობიექტური რეალობის დანახვისკენ, შეისწავლოს მის თვალწინ გადაშლილი ჰორიზონტი და გააფართოოს იგი.

ბოლო დროს წაკითხული ნაწარმოებებიდან ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ფრანც კაფკას მოთხრობა „მეტამორფოზამ“ მოახდინა. ტექსტი კომიკოიაჟურ გრეგორი ზამზას ამბავს გვიყვება. პერსონაჟმა ოჯახზე ზრუნვის პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, გვერდზე გადადო მიზნები, სურვილები და ცხოვრება. არ მოსწონდა თავისი სამსახური. მეტიც – ოცნებობდა, უფროსის წინაშე უშიშრად მდგარიყო და საკუთარი შეხედულება გულწრფელად გაენდო მისთვის. მისივე სურვილის მიხედვით, ოჯახში მხოლოდ თავად მუშაობდა. ამაყობდა ერთადერთი მარჩენალის სტატუსით. მამა აღტაცებით შეხვდა შვილის მიერ მოტანილ პირველ ხელფასს. თუმცა დროთა განმავლობაში ოჯახის წევრები შეეჩვივნენ გრეგორის იმედად ყოფნას, მადლიერების გრძნობა გაუქრათ და გაუცხოვდნენ. ტექსტის მიხედვით, როცა კომიკოიაჟურობის მარწუნებში ხარ მოქცეული, რუტინული ცხოვრებისგან თავის დაღწევაში, გამორკვევაში, გამოფხიზლებაში მეტამორფოზა გეხმარება. გრეგორის ცხოვრებაში ასეთი გარდასახვა მტკივნეულად, მტანჯველად მოხდა, გრეგორი ზამზა ხოჭოდ გადაიქცა, ის საზარელი არსების სხეულიდანაც ვერ აღიქვამდა საკუთარი ოჯახის არაჰუმანურობას, ზნედაცემულობას. ხოჭოდ გადაქცევაზე მეტად მძიმე ტრაგედია სამსახურის გაცდენა ეგონა. ავტორი გარდასახვას საოცრად ბუნებრივად აღწერს. ტექსტის კითხვისას მკითხველი ემპათიით იმსჭვალება. თანაუგრძნობს გრეგორს, უკვირს, როგორ ახერხებს გულცივი, დაუდევარი ოჯახის წმინდა სიყვარულის შენარჩუნებას. ფრანც კაფკა მკითხველს შეაძრწუნებს, მის გონებას ფიქრის საგანს აძლევს. კითხვის დასრულების შემდეგ მრავალი პასუხგაუცემელი შეკითხვა დამებადა. მაინტერესებს, განვსხვავდებით გრეგორისგან, თუ მის მსგავსად, ყოველდღიურობის ორომტრიალს ვყავართ დამორჩილებულნი? გვიჭირს თავის დახსნა? ნუთუ აუცილებელია მეტამორფოზა სინამდვილის აღსაქმელად და შესაცვლელად?! თუმცა დანამდვილებით ვიცი, გარდაქმნა ყველა ადამიანის ცხოვრებაში ხდება. მას რეალობა საამკარაოზე გამოაქვს და თვითშემეცნების ბრძოლის ველს ათავისუფლებს. აღნიშნული მოთხრობა მკითხველისათვის ერთგვარი გარდასახვაა. ის შესაძლებლობას გვაძლევს, განსხვავებული ხედვის



არეალიდან დავაკვირდეთ სამყაროს, შევისწავლოთ საკუთარი თავი და დავხეხაროთ მას.

ფრანც კაფკას მოთხრობა „მეტამორფოზის“ მსგავსად, რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“ გვარწმუნებს: ცხოვრება მეტია, ვიდრე მხოლოდ არსებობა და გადარჩენისთვის ბრძოლა. აუცილებელია, თავისუფლების მისაღწევად ძალა არ დავიშუროთ.

„ცხოვრება სწავლაა, შემეცნებაა, თავისუფლებაა!“ — ვკითხულობთ მოთხრობაში „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“. მართლაც, საჭიროა ჩვენს მატერიალურ სურვილს არ მივცეთ უფლება, დათრგუნოს თითოეულ ჩვენგანში ღრმად ფესვგადგმული ამაღლებული მისწრაფებები. მთავარია, თოლია ჯონათანის მსგავსად, შევძლოთ განზე, მარტო დგომა. გავიხსენებ ჰენრიკ იბსენის სიტყვებს: „ადამიანი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მარტოა“. ცალკე მდგომ ინდივიდს მიზნის დასახვა, თვითმყოფადობისთვის ბრძოლა და „ფრენა“ შეუძლია, რადგან, როგორც მოთხრობაში ვკითხულობთ, რაც უფრო მაღლა ავფრინდებით, მით შორს დავინახავთ. ნაწარმოები გვარწმუნებს, რომ ადამიანის აზრებმა თოლია ჯონათანივით უნდა იფრინონ. ადამიანებს ხორცი გვამძიმებს, არ შეგვიძლია გავცდეთ საზღვრებს. თუმცა ჩვენი აზრები თავისუფალია, ჩვენი ფიქრები შორს უნდა გაფრინდნენ და გამოუცნობი ეძიონ.

მიზანი დიდებულია. დავესესხები ჯემალ ქარჩხაძეს და ვიტყვი, მე ძალიან მომწონს მრავალკუთხედის მიზანი, კუთხეების უსასრულო გაორკეცებით იქცეს წრეხაზად. ცხადია, მრავალკუთხედი მიზანს ვერასოდეს მიაღწევს, ისევე, როგორც ადამიანი ვერ გასცდება სამყაროს დადგენილ საზღვრებს.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ასვლა“ შთაგვაგონებს, რომ სწრაფვა ადამიანს პიროვნულად ზრდის, შინაგან „მეს“ წვრთნის და ათავისუფლებს. შესაძლოა, სასრულ სამყაროში გვექონდეს უსასრულო სურვილები, არ დავკმაყოფილდეთ მიღებულით და უკეთესისთვის ვიბრძოდით. მოთხრობის სახელწოდება სიმადლებების დაპყრობისკენ მოგვიწოდებს. „ასვლის“ პერსონაჟები, ვაჟა ჯანდიერი და ჯემალ სვანი, ადიან მაღლა, ამ სიტყვის ყველა გაგებით. გზად დაღლილნი, დაქანცულნი, მრავალსირთულეგამოვლილნი ჩერდებიან, ისვენებენ და ფიქრობენ, დონ კიხოტივით უმიზნოდ ხეტიალი არაფერს მოუტანთ. თუმცა გზას აგრძელებენ, რათა მიუღწეველ მიზანს მიუახლოვდნენ. მისწრაფება მრავალგვარი და ინდივიდუალურია, თუმცა ხიბლი ერთი აქვს: სწრაფვა და ბრძოლა ცხოვრების რუკისა და კომპასის დაბრუნებაში გვეხმარება.

ჩემ მიერ განხილულმა მოთხრობებმა ჩემს „მოგზაურობაზე“ ძლიერად იმოქმედა. მოთხრობები გვასწავლიან ან გვეხმარებიან სწავლაში, საკუ-



თარი თავის დაკარგვასა და პოვნაში. და ეს უწყვეტი პროცესია. მოთხრობა შესაძლებლობას გვაძლევს, სამყაროს განსხვავებული ფერის სათვალეებით შევხედოთ. გვიცავს, დავძლიოთ ცოდნა, როგორც ბარიერი, შემეცნების პროცესში. ვინაიდან შესაძლებელია, ჩვენს გონებაში ღრმად ჩანერგილი შეხედულება არასწორი აღმოჩნდეს! მოთხრობები სიახლისკენ გვიბიძგებენ, გვიღებენ მრავალფეროვანი სამყაროს კარიბჭეს!

მე შემეცნების გზა ავირჩიე, მოთხრობების დახმარებით დავეძებ რუკასა და კომპასს, რათა ისინი საკუთარი ცხოვრების სამართავად გამოვიყენო.



## ანა ჯღარკავა

სენტ-ეგზიუპერის ფრანგულ-ქართული სკოლა (თბილისი)

### მოთხრობის ხიბლი

პატარა ვარ. არანაირი საზრუნავი და ვალდებულება არ გამაჩნია. ეზოდან ბავშვების ჟრიამულის ხმა მესმის — სიცოცხლის ხმა. სათამაშოდ მეძახიან, თუმცა უკვე ცაზე მზე მთვარეს ჩაუნაცვლებია. წვრილ-წვრილი ვარსკვლავები ჩამოგვცქერიან და გვატყობინებენ, რომ დედამიწის პატარა მცხოვრებთა ძილის დროა. მეც მეძინება, მაგრამ მამაჩემს ველოდები — დიდ წვერიან კაცს, რომელსაც ისეთი ცისფერი თვალები აქვს, არასოდეს მომბეზრდება მათი ყურება. სამსახურიდან დადლილი მოსულა, მაგრამ იცის, რომ, თუ ძილის წინ იმ ცისფერი, სქელყდიანი წიგნიდან „მოთხრობების კრებული“ რომ აწერია, რამეს არ წამიკითხავს, არ დავიძინებ. ისიც მოვიდა, ლოგინზე ჩამომიჯდა, კითხვა დაიწყო და მეც გადავეშვი იმ სამყაროში, რომელშიც უამრავი გამოგონილი პერსონაჟი ცხოვრობს...

ახლაუფრო წამოვიზარდე. მამა აღარ მოდის ძილის წინ მოთხრობების წასაკითხად, თუმცა უკვე იმხელა ვარ, რომ ამას ჩემით ვახერხებ. ჩემთვის მოთხრობები იმით გამოირჩევა სხვა სახის ნაწარმოებებისგან, რომ ისინი მცირე ტექსტებში ახერხებენ, რამდენის მოხერხებაც არ წარმომედგინა, თუ შესაძლებელი იყო. შესავალში მწერალი გარემოს გაცნობს, შემდეგ ნელ-ნელა მოთხრობაში შესასვლელ კარს გიღებს და ისე, რომ ვერც მიხვდები, ყველაფრის სხვანაირად აღქმას იწყებ. პერსონაჟებივით გრძნობ, მათი კარგი ამბები გინარია, უბედურებისას კი ცრემლები მოგდის და აანალიზებ, რომ ყველაფერი შენ გარშემო ხდება.

ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგიმ“ ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის არ ჰგავს სხვა ნაწარმოებებს. ქარჩხაძის მოთხრობაში აღწერილია ადამიანის განსხვავებულობა, უნიკალურობა და აზრთა სხვადასხვაობა, თუ როგორ შეიძლება შავ-თეთრ სამყაროში შენ ფერადი იყო!

მე თავს შავ-თეთრად არასოდეს ვგრძნობდი. სულ ვიცოდი, რომ უფრო მეტი ვიყავი, ვიდრე საზოგადოებას უნდოდა, რომ ვყოფილიყავი. ფერები მიყვარდა, თუმცა მათი გამოჩენა მეშინოდა და თავს შავ-თეთრად ვიღებავდი. „იგის“ წაკითხვის შემდეგ კი მივხვდი, რომ ყველა უფერული ვერ იქნება და არც უნდა იყოს! ყველანი ერთმანეთისგან გამოვირჩევით. ყველა ის ფერი უნდა იყოს, რომელიც შინაგანად არის და ის ფერი



არ მიიღოს, რომელსაც ხალხში ხედავს. სწორედ ამას გვასწავლიან მოთხრობები. სხვადასხვა სამყაროს კარს გვიღებენ და ჩვენ ფერადად გვღებავენ. ეს არის მათი ხიბლი!

...მამამ დაამთავრა ჩემთვის მოთხრობის წაკითხვა. თვალები მეხუჭება და მზად ვარ სიზმრების სამყაროში გასამგზავრებლად. მამა თაროზე დებს იმ ცისფერ, სქელყდიან წიგნს, რომელსაც „მოთხრობების კრებული“ დიდი ასოებით აწერია. ეს ასოებიც ფერადია, თქვენც ფერადი ხართ და - მეც! მამა შუბლზე მკოცნის, ოთახში სინათლეს მიქრობს, ყველაფერი შავდება, თუმცა მე მაინც ფერადი ვრჩები.



## ნინო აბულაძე

ქალაქ თბილისის №156 საჯარო სკოლა

### იგავების სამყარო

ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას გვიჩნდება კითხვა: გამართლებულია თუ არა ის, რასაც ვაკეთებ? ჩვენს ყველა ნათქვამს, მოქმედებას თუ გადაწყვეტილებას ერთი რამ განსაზღვრავს — მორალი. თუმცა საზოგადოებაში მუდმივად იცვლება მოსაზრება იმაზე, თუ რა არის მორალურად გამართლებული და რა — არა. რას განსაზღვრავს, რას მივიჩნევთ სწორად ან არასწორად. ვის ჩავთვლით ბოროტმოქმედად და ვის- მსხვერპლად. სად დავინანავთ სამყაროში „ინს და სად — იანს“.

რეალურად, სამყაროში არაფერია მხოლოდ შავი ან — მხოლოდ თეთრი. სწორედ ამიტომ ვერასდროს დასრულდება მარადიული მსჯელობა იმაზე, თუ ვისი მოსაზრებაა ქუშიარიტი, ხოლო ვისი — მცდარი. სამწუხაროდ, ეს მსჯელობა ხშირად გაცდენია მშვიდობიან დისკუსიას. სიჯიუტე არ აძლევს ადამიანებს უფლებას, თავი შეიკავონ. ამიტომ ისინი ყოველთვის შეეცდებიან, დაგარწმუნონ, რომ მათი აზრია სწორი, განსხვავებული საშუალებებით, მაგრამ იმავე მიზნით.

სწორედ აქ ჩნდება ალეგორიის, იგავებით გადმოცემული სატიკერის სამყარო. იგავების ჩვენთვის ყველაზე ცნობილი მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. ის, ერთი შეხედულებით, აბსურდულ იდეებზე აგებული იგავ-არაკების კრებულია. თავად სულხან-საბა, როგორც ავტორი, ობიექტურ კომენტატორად გვევლინება, რომლის მთავარი სამიზნეც საზოგადოება და მათი დამახინჯებული მორალია.

ავტორმა მოღვაწეობის პერიოდში ბევრჯერ გამოსცა ადამიანთა მხრიდან იმედგაცრუება. მისი ნაწარმოებები რამდენად ზუსტი, მაგრამ მაინც სატირული და ალეგორიული ანარეკლია მის მიერ ცხოვრების მანძილზე ნასწავლი გაკვეთილების, ჩემი აზრით, დისკუსიას იმსახურებს, მაგრამ, მოკლედ რომ ვთქვათ, იგავ-არაკები იყო მისი გზა, წარმოეჩინა, თუ რამდენად მცდარი იყო მისი გადმოსახედიდან გადაწყვეტილებები, რომლებსაც მიიღებდნენ ზარმაცი მეთევზე, მკაცრი მმართველი, დანაწევრებული სახელმწიფო, მატერიალისტი ვაჟი, თუ მრავალი სხვა.

დამეთანხმებით, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, იქნება ეს რეჟიმი, კულტურა თუ სოციალური ურთიერთობები. დღესდღეობით ადარ გვიწევს მუდმივად ომის შიშით ცხოვრება (მეტ-ნაკლებად, თუმცა ეს



განსხვავებული საკითხია), შემცირდა შიმშილობის თუ სიღარიბის მაჩვენებელი, ადარც სოციალური იერარქია ადვივებს განსხვავებულ კლასთა შორის მუდმივ სიძულვილს. მაშინ რას ფიქრობთ, უნდა მოეკლო ადამიანთა შორის უთანხმოებას? არა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დროსთან ერთად იცვლება საზოგადოება და მისი მორალი. ეს ასეცაა. თუმცა თითქმის „პოეტურია“, თუ რამდენად მიზერულად შეიცვალა ჩვენი სიჯიუტე. ისევ ვგრძნობთ საჭიროებას, ყოველთვის გამარჯვებულნი დავრჩეთ. ყოველთვის გამოვამყდავნოთ, თუ რამდენად ორიენტირებულია ჩვენი უმეტესობა, რომ დავარწმუნოთ სხვები, თითქოს მათზე უკეთესები ვართ. დრო გადის, მაგრამ ადამიანთა ეგოიზმი კვლავ რჩება. რჩება და ადვივებს ირონიას, ცინიზმსა და ალეგორიას.

ხალხის ბუნებაზე საუბარმა შორს წაგვიყვანა, მაგრამ შეუძლებელია განვიხილოთ იგავები, და დავგავიწყდეს მათი მთავარი საფუძველი. რასაკვირველია, ყველა ავტორის ყველა იგავი არ არის მათი სტოიციზმად გადაქცეული უიმედობის გამოხატულება. ზოგიერთი მათგანი არაფერია, ვიდრე ერთგვარი მესენჯერი, რომელიც ვალდებულია, განსხვავებული გზით გადმოგვცეს გარკვეული ცხოვრებისეული სიბრძნე.

მაშ, რატომ, იგავები? რა ხდის მათ ასე განსაკუთრებულს. ცხოვრების გაკვეთილი ნებისმიერი სხვა ნაწარმოებიდან შეგვიძლია მივიღოთ. რატომ უნდა დავუმატოთ ნაწარმოების გააზრების ისედაც კომპლექსურ პროცესს მალული ალეგორიის „გაშიფვრა“, როცა შეგვიძლია, იგივე დირეზულია ნებისმიერი ლექსიდან, მოთხრობიდან, ან თუნდაც სიმღერიდან მივიღოთ.

რა თქმა უნდა, თუ ნაწარმოებისგან არაფერს ველოდებით, გარდა ერთსიტყვიანი პასუხისა, მაშინ უსარგებლოა, ვადიდოთ გადმოცემის ხერხი, რომელიც „დროს გვაკარგვინებს“. მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან, სწორედ ეს ხდის იგავებს განსაკუთრებულს.

ნებისმიერმა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ არ უნდა ვიყოთ ძუნწი, ხარბი, მოღალატე თუ ვერაგი. იგავის წაკითხვის აზრი არ არის ამ მარტივი, პრიმიტიული მესიჯების გაშიფვრა, არამედ ის ნიუანსი, რომლითაც ავტორმა მათი დაშიფვრა გადაწყვიტა. იგავში ყველა ანალოგი, ყველა შედარება, მეტაფორა, თუ პარალელი როგორც ავტორის, ისე მკითხველის ინდივიდუალურობის სარკეა. ჩემი აზრით, კარგი იგავი არის ის, რომელიც კითხვის დასრულების შემდეგაც დავგაფიქრებს მის ნამდვილ მნიშვნელობაზე. ხოლო უკეთესი კი არის იგავი, რომელსაც არ აქვს ერთი „ნამდვილი“ მნიშვნელობა და რომლის ინტერპრეტაციაც თქვენს პიროვნებაზე იმეტყველებს.



აღსანიშნავია ისიც, რომ „იგავი“ არ ჯდება რამდენიმეაზიური მოკლე ისტორიის ჩარჩოში. იგავი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც ცხოვრების დამალულ მნიშვნელობაზე დაგაფიქრებთ და თქვენს მორალურ კომპასს კითხვას დაუსვამს. იქნება ეს ზღაპარი, ფილმი, სიმღერა, ბალადა, თუ ნამდვილი თავგადასავალი, რომელიც თავად გადაგხდათ.

იღუმალებით მოცული იგავების სამყარო ადამიანის ვერაგობასა და კონფლიქტზეა დაშენებული და უსასრულოდ გრძელდება. ის სარკეა, რომელშიც ჩვენი, ჩვენი წინაპრების და შთამომავლების ყველა შეცდომა აირეკლება. ისტორიის ცვლას მათიანეში ცხადად დავინახავთ, მაგრამ ადამიანთა უცვლელობაზე არაკები მხოლოდ მსგავსი სოციალური კომენტარებით გადავა თაობიდან თაობაზე. ამ საკითხზე ბევრად მეტია სალაპარაკო, ვიდრე ერთი თემა ოდესმე დაიტევს, მაგრამ მთავარია ვიცოდეთ, იგავებს აქვს ის სიტყვები, ვერც ერთმა ჩვენგანმა საუკუნეების განმავლობაში რომ ვერ შეძლო სხვაგვარად გადმოეცა.